CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

რეკლამა „ალიაში“:
5 77 444 442

N178/3108/ 4 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## მოსალოდნელია თუ არა სოციალური ამბოხი?



როდის გამოვა დამსხვრეული ოცნებებით გამწარებული ხალხი ქუჩაში

## რით დაემუქრა ღარიბაშვილი კოკა გუნცაძეს?



რატომ აღარ ითხოვენ რკინიგზელები სამი დირექტორის მოხსნას



## კვიტაშვილისა და ზღულაძის თანამდებობებზე დანიშვნა დასავლეთის მოთხოვნაა?



## როგორ ხორციელდება ინტერნეტთვალთვალი და როგორ დავიცვათ თავი

## რა გარიგება შედგა სააკაშვილსა და პოროშენკოს შორის?



## რომელ ტელევიზიებს გამოუცხადებენ ბოიკოტს უფლებადამცველები და რა მიზეზით?





## რატომ იხარჯება ნატოში ვიზიტებზე ფული, თუკი არ გვიღებენ?



## რა პრინციპით მიიღებენ სოციალურად დაუცველები დახმარებას?

## რა დოკუმენტებს გადაუგზავნის ნდობის ჯგუფი პრემიერს გრიფ „საიდუმლოს“ მოსახსნელად?



## რაზე ესაუბრა „საია“-ს ხელმძღვანელი ევროსაბჭოს წარმომადგენლებს?





## რას მოიგებს და წააგებს საქართველო, თუკი რუსეთ-თურქეთის გაზსადენი საქართველოზე გაივლის?



## რა არის გამზარდიასთვის მოსმენებზე მნიშვნელოვანი პრობლემები?

## სახელმწიფო უწყებების ნაწილს 10 თვეში წლიური ბიუჯეტის ნახევარი ათვისებული არ აქვს




ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, ბიუჯეტის შესრულების 10 თვის მონაცემებით, რიგ უწყებებს ოქტომბრის ბოლოს საბიუჯეტო გადასახდელების 12 თვის გეგმის ნახევარიც არ აქვთ ათვისებული.

მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსებისთვის 2014 წლის ბიუჯეტში 10 379 873.38 ლარი იყო გათვალისწინებული, 10 თვის განმავლობაში კი მხოლოდ 6 969 093.55 ლარი იქნა დახარჯული, 3 41 779.83 ლარი კი ჯერ კიდევ ასათვისებელია. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ნახევარი არ აქვს შესრულებული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს, რომელმაც 2 მილიონი ლარიდან, 10 თვის განმავლობაში მხოლოდ 986 169.73 ლარის დახარჯვა მოახერხა.

რაც შეეხება სამინისტროებს, ბიუჯეტის შესრულების კუთხით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ეკონომიკის სამინისტროს, რომლის ხარჯმა 10 თვის განმავლობაში 40 411 394.89 ლარი შეადგინა, 48 450 880.10 ლარის ათვისება კი ბოლო დარჩენილი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს, რადგან წლიური გეგმა 88 862 275.00 ლარი იყო. აღსანიშნავია, რომ ხარჯვით ნაწილში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. რადგან 12 თვის – 916 504 500.00 ლარიდან ათ თვეში ათვისებული აქვს 630 875 550.04 ლარი, ანუ ნოემბერ-დეკემბერში დასახარჯი რჩება 285,628,949.96 ლარი.

46 907 886 20 ლარიდან ათი თვის განმავლობაში მხოლოდ 13 15 251.84 ლარი აქვს დახარჯული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. თუმცა როგორც მინისტრმა სოზარ სუბარმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ხარჯვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და წლის ბოლომდე სამინისტრო ყველა თანხას აითვისებს.

2 400 000 ლარიდან ნახევრის ათვისება ვერ შეძლო 10 თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომაც, რომელსაც 2 თვის განმავლობაში 1 378 396.23 ლარი დარჩა დასახარჯი.

რაც შეეხება გრანტებსა და კრედიტებს, ათი თვის მონაცემებით, გრანტების ნაწილში გეგმა 100%-ითაა შესრულებული. ხოლო ვალდებულებებს, ანუ ვალებს რაც შეეხება, საშინაო ვალდებულების ნაწილში ათ თვის შესრულება წლიური გეგმის 87%-ს შეადგენს, ანუ 600 000 000.00 ლარიდან უკვე ათვისებულია 523 651 059.87 ლარი. შედარებით უარესი მდგომარეობაა საგარეო ვალდებულებების კუთხით, სადაც ათ თვეში შესრულება დაახლოებით 54%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ წლიური გეგმის – 1 036 000 000.00 ლარიდან 565 257 124.52 ლარია ათვისებულია. უნდა აღინიშნოს საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების მუხლი, სადაც შესრულება 50%-ია, ანუ 600 000 000 ლარიდან დაახლოებით ნახევარია ათვისებული. ცნობისთვის, ამ კრედიტებით ძირითადად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხდება.

მიუხედავად ამისა, ფინანსთა მინისტრის თქმით, 2014 წლის ბიუჯეტის შესრულებას, მათ შორის ხარჯვით ნაწილში, საფრთხე არ ემუქრება. (ინტერპრესნიუსი)

## აეროპორტებში „112“-ის საინფორმაციო სტენდები განთავსდა



თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და მესტიის აეროპორტებში „112“-ის საინფორმაციო სტენდები განთავსდა. სამსახურის მუშაობის სპეციფიკის დეტალურად გაცნობის მიზნით, სტენდებში საინფორმაციო ბროშურები და ფლაერებია მოთავსებული.

როგორც „112“-ში განმარტავენ, საინფორმაციო სტენდების განთავსება აეროპორტებში მნიშვნელოვანია, რათა საქართველოში შემოსულმა ნებისმიერმა ტურისტმა მიიღოს ინფორმაცია „112“-ზე დარეკვის წესის, დაკავშირების შესაძლებლობების შესახებ და იცოდნენ, სად დარეკონ, როდესაც საჭიროა საპატრულო, სახანძრო-სამაშველო თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება. (ინტერპრესნიუსი)

## „დოლარი მთელ მსოფლიოში გამყარდა“



„ბანკების ასოციაციის“ პრეზიდენტის, ზურაბ გვასალიას განცხადებით, ლარის კურსის რყევები როგორც შიდა და გარე, ისე სეზონური ფაქტორებით არის გათვალისწინებული:

„ყველა ჩვენ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში – თურქეთი, რუსეთი, უკრაინა ასეთივე რთული მდგომარეობაა მათ ეროვნულ ვალუტებთან მიმართებაში და საერთოდ, დოლარი მთელ მსოფლიოში გამყარდა. ასევეა სეზონური ფაქტორები, შემცირებულია ტურისტული ნაკადები და შესაბამისად, ვალუტის შემოსვლა, მაგრამ დადებითი ფაქტორი იქნება ის, რომ წლის ბოლოს, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ლარზე მოთხოვნილება ყოველთვის იზრდება და ეს კურსზე დადებითად იმოქმედებს. ეროვნული ბანკის ჩარევები, ვფიქრობ, დროული იყო. დოლარი ლართან მიმართებაში ახალი წონასწორობის კურსს შეუნარჩუნებს, თუმცა ეს ნამდვილად არ იქნება ისეთი კატასტროფული, რომ ფასებზე სერიოზული გავლენა მოახდინოს“, – განაცხადა გვასალიამ. (პირველი რადიო)

## კვიტაშვილი მინისტრად ლადო გურგენიძემ დაანიშვნინა?



უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის, ალექსანდრე კვიტაშვილის თქმით, მის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე გამართულ კონსულტაციებში ლადო გურგენიძეც იყო ჩართული.

კვიტაშვილი ასევე ადასტურებს, რომ უკრაინის შს მინისტრის მოადგილის პოსტსზე ეკა ზღულაძე მუშაობას რამდენიმე დღეში შეუდგება.

მისივე თქმით, პეტრე პოროშენკოს ადმინისტრაცია მოლაპარაკებებს აწარმოებდა მიხეილ სააკაშვილთან, თუმცა რა თანამდებობაზე, კვიტაშვილისთვის უცნობია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები, გასულ წელთან შედარებით, 6,2 პროცენტით გაიზარდა



2014 წლის ნოემბერში, 2013 წლის ნოემბერთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 2,8 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 6,2 პროცენტით გაიზარდა, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,90 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ჯგუფში ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (27,7 პროცენტი), ხილი და ყურძენი (12,2 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (4,0 პროცენტი). ამასთანავე, ფასები შემცირდა ზეთსა და ცხიმზე (-3,8 პროცენტი);

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას, მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 4,8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,53 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ქვეჯგუფზე (7,9 პროცენტი) და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (3,4 პროცენტი).

2014 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ -0,1 პროცენტი შეადგინა. მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე – ტრანსპორტი: აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ფასების 0,9-პროცენტიანი კლება, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,10 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების კლება დაფიქსირდა საწვავ-საპოხ მასალებზე (-1,7 პროცენტი); დასვენება, გართობა და კულტურა: ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 0,5-პროცენტიანი კლება, რამაც თვის ინფლაციაზე -0,04 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები შემცირდა ქვეჯგუფზე – უდიო-ვიზუალური, ფოტოგრაფიული და მონაცემთა დამუშავების მოწყობილობები, რემონტის ჩათვლით (-1,6 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 0,5 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0,03 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნული ზრდა განაპირობა ალკოჰოლური სასმელების ქვეჯგუფზე ფასების 1,0-პროცენტიანმა მატებამ. (ინტერპრესნიუსი)

## თანამდებობიდან გათავისუფლებული სიგუა ახალ პოსტზე ინიშნება



ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი სიგუა ახალ თანამდებობაზე დაინიშნა. ის პოსტზე სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი შონვაძის მოადგილე იქნება.

„გიორგი ფაქტობრივად ჩემამდეა დანიშნული. ვისაუბრებთ და ჩამოვყალიბდები. მის ხედვებს, რა თქმა უნდა, განვიხილავ“, – განაცხადა შონვაძემ.

რაც შეეხება თავად სიგუას, მისი თქმით, უწყებაში ტურიზმის მიმართულებით იმუშავებს და უკვე აქვს მზა პროექტები. (ნიუპოსტი)

## „უკრაინაში გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, ანალიზია საჭირო“



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ რამდენიმე ქვეყანაში, საქართველოს საელჩოების დაკომპლექტების საკითხი გადასახედია.

„უკრაინაში საქართველოს ელჩად ზვიად ჯანყარაშვილის შესაძლო დანიშვნის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და არ ვიცი, საიდან მოდის აღნიშნული ინფორმაცია. შემიძლია გითხრათ ის, რომ ნებისმიერი კანდიდატურა შეიძლება იყოს განხილული. მიმაჩნია, რომ უკრაინაში უფრო დიპლომატიური გამოცდილების მქონე პირებზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტი. უკრაინაში საქართველოს მოქმედი ელჩის შეცვლის საკითხი ჩემთან ნამდვილად არ დამდგარა. არ ვიცი, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ თემაზე რას ფიქრობს, თუმცაღა ჩემი, ერთი ადამიანის აზრია, რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში, ჩვენი საელჩოების დაკომპლექტების საკითხის გადახედვა მოგვიწევს. ის, რომ დღეს უკრაინაში გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, სახეზეა, თუმცა ანალიზია საჭირო, რამდენად იყო ეს საელჩოზე დამოკიდებული“, – განაცხადა საგანელიძემ (ნიუპოსტი)

## ინტოქსიკაციის ფაქტები სამტრედიაში



სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანში რამდენიმე ადგილობრივს ინტოქსიკაციის ფაქტი დაუფიქსირდა. სამტრედიის სამედიცინო ცენტრში სამ პაციენტს მაღალი ტემპერატურა, გულისრევა, ტკივილი მუცლის არეში და დიარეა აღენიშნებოდათ.

სიტუაციის გასარკვევად ადგილზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები ჩავიდნენ. როგორც ადგილობრივები ამბობენ, მოწამვლა სასმელმა წყალმა გამოიწვია.

მოსახლეობის ინტოქსიკაციის მიზეზებს სპეციალისტები სწავლობენ. (ნიუპოსტი)

## 22 წლის ბიჭმა თავი მოიკლა

სოფელ ტყვიავში 22 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო. გარდაცვლილი სოფელ ბოშურში ცხოვრობდა და ტყვიავში ბებიასთან სტუმრად იმყოფებოდა. ცხედარი საკარმიდამო ნაკვეთში იპოვეს.

ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადა მივიდა, თუმცა მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

მომხდართან დაკავშირებით შსს გამოძიებას 115-ე მუხლით აწარმოებს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

# რით დაემუქრა ღარიბაშვილი კოკა გუნცაძეს?

## რატომ აღარ ითხოვენ რკინიგზელები სამი დირექტორის მოხსნას



საქართველოს რკინიგზაში გაფიცვები შეწყდა, რკინიგზის ხელმძღვანელობა ერთი კვირა იგნორირებას უკეთებდა გაფიცულთა მოთხოვნებს და მოულოდნელად, მათთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა. შესაბამისად, გაფიცულთა მოთხოვნების ნაწილის შესრულებაზეც აიღო პასუხისმგებლობა. არადა, „საქართველოს რკინიგზის“ მესვეურნი გაფიცულებთან არანაირ დათმობაზე არ მიდიოდნენ, რკინიგზის პრესცენტრის ხელმძღვანელი „ალიას“ არწმუნებდა, სულ ასიოდე კაცია გაფიცულიო და მიანიშნებდა, რომ ამ გაფიცვის უკან „ნაცმოძრაობის“ მიერ მართული პროფკავშირების თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი იდგა. გაფიცულების მიმართ მუქარებიც ყოფილა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი რიცხვი არათუ შემცირდა, გაიზარდა კიდეც. გაფიცულების რიცხვმა საბოლოოდ 8 000-ს მიაღწია.

მოკლედ, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელები გაფიცულებთან დიალოგზე წასვლას კატეგორიულად გამორიცხავდნენ, ჯიუტად იმეორებდნენ, ამ ხალხს ჩვენ ადრე 9 მოთხოვნიდან 7 შევუსრულეთ და მათი აღარაფერი გვმართებსო, თუმცა მოულოდნელად დათმეს და რკინიგზის პროფკავშირებთან მოლაპარაკებაზე წავიდნენ.

რა მოხდა? რატომ დათმო პოზიციები ასე მყისიერად კოკა გუნცაძემ და მისმა გუნდმა? იმას ვერ ვიტყვით, რომ მათ გაფიცვიდან რკინიგზის პარალიზების საფრთხე მხოლოდ 1 კვირაში დაინახეს. ეს საფრთხე უკვე არსებობდა და კიდევაც ხედავდნენ 13 000 რკინიგზელიდან 8000 უკვე გაფიცული იყო, იმდენად უჭირდა სატვირთო გადაზიდვებისას რკინიგზას, რომ აზერბაიჯანიდან დაუქირავებიათ მემანქანეები, რადგან ტვირთი მიეტანათ დანიშნულ პუნქტამდე და სხვადასხვა უცხოურ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტები არ დაეკარგათ. აზერბაიჯანელი მემანქანეების დაქირავებას გაფიცულებიც ადასტურებენ.

რეალურად, რკინიგზის მესვეურნი მხოლოდ მას შემდეგ შეშფოთდნენ და მას შემდეგ დასხდნენ გაფიცულებთან მოლაპარაკების მაგიდასთან, როცა მათ თანამდებობებს საფრთხე დაემუქრა. „ალიას“ აწ უკვე ყოფილმა გაფიცულმა რკინიგზელებმა კულუარულად გაუმხილეს, რომ საქმეში ჩაერივნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ ეტაპზე ეს ხალხი ვინაობის გამხელას ერიდება იმ მიზეზით, რომ აღარ სურთ რკინიგზის ხელმძღვანელებთან დაპირისპირება, რადგან შესაძლოა, მათ შეთითხნილი მიზეზით, სამსახური დაატოვებინონ. ეს ხალხი აცხადებს, რომ სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, როცა კოკა გუნცაძეს ირაკლი ღარიბაშვილმა დაურეკა და უთხრა, რომ, თუ სასწრაფოდ არ დაარეგულირებდა სიტუაციას, მასაც მოხსნიდა და რკინიგზის მთელ მენეჯმენტსაც ზედ მიაყოლებდა. პრემიერს გუნცაძისთვის ისიც უთქვამს, რომ გაფიცულთა მოთხოვნები სავსებით სამართლიანია, მაგ ხალხს ხელფასები არ შეუმციროო და თუ სახელფასო დეფიციტი გაქვს, ადექით და რკინიგზის ხელმძღვანელებმა შეიმცირეთ, ზოგიერთები მანდ საერთოდ ტყუილად სხედან და



**პრემიერს გუნცაძისთვის ისიც უთქვამს, რომ გაფიცულთა მოთხოვნები სავსებით სამართლიანია, მაგ ხალხს ხელფასები არ შეუმციროო და თუ სახელფასო დეფიციტი გაქვს, ადექით და რკინიგზის ხელმძღვანელებმა შეიმცირეთ, ზოგიერთები მანდ საერთოდ ტყუილად სხედან და ხელფასებს რაში უხდი, ესეც გასარკვევიაო**

ხელფასებს რაში უხდი, ესეც გასარკვევიაო. რკინიგზელთა თქმით, პრემიერს გუნცაძისთვის 3-დღიანი ვადა მიუცია, 3 დღეში მოაგვარე ყველაფერი, ან არადა გადადექი პოსტიდანო. კოკა გუნცაძისთვის ვიცე-პრემიერსა და ენერგეტიკის მინისტრს, კახი კალაძესაც დაურეკავს და უთქვამს, რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრეტენზიით დამირეკეს და მითხრეს, რომ მათ ნავთობკომპანიებს ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას სერიოზული პრობლემები შეექმნათ და უზარმაზარი ჯარიმების გადახდა მოუწევს რკინიგზას, თუ დროულად არ მოაგვარე საქმე, რკინიგზა სახელმწიფოს საკუთრებაა, შენი საკუთარი არ გეგონოს და ამ ჯარიმების გადახდაც ბიუჯეტიდან მოგვიწევსო. ღარიბაშვილსა და კალაძეს ინფორმაცია რკინიგზაში მიმდინარე პროცესების, გაფიცვის დეტალებისა და იმ ზარალის შესახებ, რაც გაფიცვიდან 1 კვირაში სახელმწიფოს მიადგა, ეკონომიკის მინისტრისგან, გიორგი კვირიკაშვილისგან ჰქონიათ. რკინიგზელები ირწმუნებიან, რომ სწორედ ამის შემდეგ გახდა იძულებული კოკა გუნცაძე, გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე წასულიყო. ამ მოლაპარაკებას რკინიგზის გენდირექტორი ირაკლი ტიტვინიძე აწარმოებდა. გიორგი კვირიკაშვილი რომ გაფიცვის პროცესების საქმის კურსში იყო, ამას „რკინიგზის ახალი პროფკავშირების“ თავმჯდომარე, ვიტალი გიორგაძეც ადასტურებს, თუმცა, დაბეჯითებით ვერ ამბობს, კოკა გუნცაძე კონკრეტულად პრემიერმა აიძულა თუ არა, რკინიგზელებთან მოლაპარაკებაზე წასულიყო, თუმცა ამას არ გამორიცხავს.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რკინიგზელებმა საკუთარი მოთხოვნების ნაწილის შესრულების პირობა მიიღეს ტიტვინიძისგან. ისინი დეკემბერში მე-13, ანუ ერთი თვის სრულ ხელფასს ითხოვდნენ, მაგრამ შეთანხმდნენ, მე-13 ხელფასის ნაცვლად, საახალწლოდ ხელფასის 50%-ს მიიღებენ პრემიას. რაც მთავარია, გადაწყდა, რომ ახალი სახელფასო სისტემით, ხელფასის კლება არ შეეხებათ იმ ადამიანებს, ვისი ხელფასიც 1250 ლარს არ აღემატება. მოკლედ, დაბალ რგოლებს – მემანქანეებს, ზეინკლებს, გამცილებლებს და სხვებს, ეს კლება არ შეეხებათ, მხოლოდ მენეჯმენტის ნაწილს შეუმცირდება ხელფასი და ძალიანაც კარგი, „საქართველოს რკინიგზამაც“ და ყველა სხვა სახელმწიფო კომპანიამაც, ჯერ იმ ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იმათ კეთილდღეობაზე უნდა იფიქრონ, ვინც პროდუქციას ქმნის, ვინც მძიმე პირობებში მძიმე სამუშაოს ეწევა და როცა ამ ხალხს დააკმაყოფილებენ, მერე კი ბატონო, ხელმძღვანელობამაც შესაძლოა, მცირე ფუფუნების უფლება მისცეს საკუთარ თავს. დღემდე ყველაფერი უკუღმა იყო და იმედია, ეს გაფიცვა ჭკუის სასწავლებლად გამოადგებათ რკინიგზის მესვეურთ.

რკინიგზელები ითხოვდნენ, რომ მათი ზეგანაკვეთური შრომაც ანაზღაურებულიყო, მაგრამ მოლაპარაკების დროს ეს მოთხოვნა ამოიღეს. მიზეზი ის არის, რომ პროფკავშირების ამ მოთხოვნის სამართლიანობას, რკინიგზის ხელმძღვანელთა ინიციატივით, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს, გადაწყვეტილება 2015 წლის აპრილში იქნება და რკინიგზელებს იმედი აქვთ, რომ სასამართლო ამ საკითხს მათ სასარგებლოდ გადაწყვეტს. წესით, ასეც უნდა მოხდეს – ვინც ზედმეტ საათებს მუშაობს, მას მეტსაც უხდიან და გამონაკლისი, ცხადია, არც საქართველოს რკინიგზა უნდა იყოს.

რკინიგზელები არაოფიციალურად 3 დირექტორის გადაყენებასაც ითხოვდნენ, მაგრამ ეს მოთხოვნა მოლაპარაკების დღის წესრიგში აღარ დადგა. გაფიცულებმა ისეთი ვითარება შექმნეს, რომ რამდენიმე დღეც და რკინიგზის სრული პარალიზება მოხდებოდა, მათ შეეძლოთ, ბოლომდე მისწოლოდნენ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელებს, არასასურველი დირექტორების მოხსნაც მოეთხოვათ, ვინც მათ სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა და რკინიგზა იძულებული გაეხადათ, საკონსტიტუციოდან ის სარჩელიც გამოეტანა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებაზეც დაეთანხმებინათ. თუმცა, ამისთვის გაფიცვის გაგრძელება იყო საჭირო. რატომ არ გააკეთეს ეს რკინიგზელებმა და რატომ დაიხიეს ბოლო მომენტში უკან, თან მაშინ, როცა ბურთი მათ მოედანზე იყო? „ჩვენ აღარ წავედით სიტუაციის გამწვავებაზე, ქვეყანამ ისედაც დიდი ფინანსური ზარალი ნახა სატვირთო გადაზიდვების შეფერხებით, ეს ხალხი სახელმწიფოებრივად მიუდგა საქმეს და მაქსიმუმი აღარ მოუთხოვა“. – ამბობენ რკინიგზელები.

სხვათა შორის, შარშან, ნოემბერში, როცა რკინიგზელებმა გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყვეს ანალოგიური მოთხოვნით, ამ მოლაპარაკებასაც ირაკლი ტიტვინიძე წარმართავდა რკინიგზიდან. მან მოაწერა ხელი იმ მემორანდუმს, რომელიც გაფიცულთათვის ყველა მოთხოვნის შესრულებას ითვალისწინებდა. თუმცა, იმ მოთხოვნებიდან ერთიც რომ არ შეასრულეს, წელს იმიტომ მოაწყვეს რკინიგზელებმა ასეთი მასობრივი გაფიცვა. ტიტვინიძემ ერთხელ „გადააგდო“ რკინიგზელები, მაგრამ ეს ხალხი მაინც ენდო მას. ვნახოთ, შეასრულებს თუ არა ამჯერად დანაპირებს.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „უკრაინელებმა ჩათვალეს, რომ საქართველოში გატარებული რეფორმები წარმატებული იყო“



უკრაინის ჯანდაცვის ახლად არჩეული მინისტრის, სანდრო კვიტაშვილის თქმით, უკრაინაში მთავარი პრობლემა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული სისტემის დანგრევაა, რადგან დეკლარირებული უფასო ჯანდაცვის მიუხედავად, მოსახლეობა ფულს საკუთარი ჯიბიდან ხარჯავს.

„ჩვენი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, აქაურმა პოლიტიკოსებმა ჩათვალეს, რომ საქართველოში გატარებული რეფორმები იყო წარმატებული და ძალიან ბევრი კომპონენტი ჩვენი რეფორმებისა, რომელიც წინა წლებში გატარდა, შეიძლება უკრაინისთვის იყოს მისაღები“, – განაცხადა კვიტაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

### „სუიციდის ფაქტები ხდებოდა, ხდება და მომავალშიც მოხდება“



სასჯელაღსრულების მინისტრის გიორგი მღებრიშვილის თქმით, ციხეში სუიციდის ფაქტების ბოლომდე აღმოფხვრა შეუძლებელია.

„ვმუშაობთ სუიციდის პროგრამაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ ფაქტებს მოვერიოთ. ეს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევაა. სუიციდის ფაქტები ხდებოდა, ხდება და სავარაუდოდ და სამწუხაროდ, მომავალშიც მოხდება, რადგან მისი ბოლომდე აღმოფხვრა შეუძლებელია“, – განაცხადა მინისტრმა.

გლდანის ციხესა და ბათუმში სუიციდის ორი შემთხვევა დაფიქსირდა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





დადიოდე ბოლო მოდელის ჯიპით, იღებდე პრემიებს, ბიზნესწილებში ხტებოდე და ყელმოღერებული მამადლიდე სააკაშვილის რეჟიმისგან განთავისუფლებას. როცა შენს ხალხს უჭირს, ზღვარგადასული ფუფუნება ისეთივე მიუღებელია, როგორც გვამებზე მორბენალი ტირანი. დღემდე ლეგენდად დადის, ინგლისის დედოფალმა მსოფლიო ომის დროს ბუხარი არ აანთებინა, ჩემმა მოქალაქეებმა კვამლი რომ დაინახონ, არ იქნება კარგი, მეც ისეთივე სიცივეში ვიქნები, როგორშიც ისინიო. ეს გააკეთა ინგლისის დედოფალმა, რომელსაც არჩევნები არ ემუქრებოდა. საინტერესოა, იმის შემდეგ, რასაც „ოცნების“ ხელისუფლება აკეთებს, როცა ფუფუნების მონად იქცა, 2016 წელს არჩევნების მოგების იმედი როგორ აქვს? ამ ფონზე, როცა ადამიანებს ნუგეშის მიმცემიც არავინ ჰყავს, ვიგებთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ზოგი შედეგი მივიღეთ ის, რომ ამ მწირ ეკონომიკას ემსახურება ოთხჯერ ნაკლები ფული. რამდენიც არის შიდა პროდუქტი, იმდენი ფული ემსახურება, ეს სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა გააკეთა იმიტომ, რომ ისინი იმპორტზე კიდებდნენ ქვეყანას, ეს ფული ემსახურებოდა იმპორტს, ემსახურებოდა სახელმწიფო ხარჯებს, სხვა მხრივ, მათ ინერესი არ ჰქონდათ, მცირე და საშუალო ბიზნესი მკვდარი იყო, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, არჩევნების წინ ერთ-ერთი პროგრამის პრეზენტაციაზე ბატონ ბიძინას კიდევაც ვუთხარი, რომ ეს არის ცენტრალური პრობლემა და თუ ეს არ გადაიჭრა, არაფერი გამოვა. საბოლოოდ მივიღეთ აი, რა, ორი წლის მანძილზე ეს პრობლემა ვმალეთ და არაკოორდინირებულმა მოქმედებებმა დააყენა ეს შედეგი. ეკონომიკური პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ერთი კოორდინირებულად 2015 წლის ბოლომდე ამ კურსს მიყვანს ოპტიმალურ მაჩვენებლამდე. გათვლები რეალურად აჩვენებს, ამ ეტაპზე შეიძლება 2,15 ლარის ფარგლებში გავიდეს. ამ ნიშნულამდე ასვლას მთელი წელი დასჭირდება, პარალელურად საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურება, ფული უნდა წავიდეს ეკონომიკაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ფულის მასის ხელოვნური ზრდა ინფლაციას აწვება.

**— მივიღებთ სოციალურ ამბოხს?**

– ეს არის უკიდურესი სცენარი, თუ მთავრობა ამ სცენარის განვითარებას ხელს შეუწყობს, მაშინ შეიძლება უკმაყოფილებამ მიიღოს საჯარო პროტესტის სახე. თუ კომპლექსური ღონისძიებები გატარდება, ეს პრობლემა იქნება თავიდან აცილებული, თუმცა ამ კომპლექსური ღონისძიებების გატარების მცდელობას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. საქართველოს ეროვნული ბანკ-

# მოსალოდნელია თუ არა სოციალური ამბოხი?

## როდის გამოვა დამსხვრეული ოცნებებით გამწარებული ხალხი ქუჩაში

ჩახედეთ ლარიჭამია ნოდარს თვალებში და თქვენ დაინახავთ რეალობას – No lari! No dream! საქართველო უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის წინაშეა. ნოდარ ხადურმა რეკორდი მოხსნა, სააკაშვილის შემდეგ, ხადურის მაწყევარ-მაგინებელთა რიგები დღითი დღე იზრდება. ახალი დღის გათენება, ახალი ეკონომიკური პრობლემის წინაშე გვაყენებს, ლარის ინფლაცია სახეზეა. ნიშნულმა უკვე 1 დოლარზე 1.9 ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტა გაუფასურდა ევროსთან მიმართებითაც და ერთი ევროს ღირებულებამ 2.2872 ლარი შეადგინა.

„მეოცნებე“ ხელისუფლება სოციალური აფეთქების წინაშე დგას, პროდუქტები ძვირდება, ადამიანები კოტრდებიან... ყოველი მეორე საქართველოში ბანკის, ლომბარდისა და კერძო მევახშის მოვალეა, მოსახლეობა სოციალური კატასტროფის წინაშეა. ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში სიკვდილი „განვადებითაა“ და მიცვალებულებს „პოსლეზე“ კრძალავენ, მიანიშნებს, რომ პატრონი აღარ გვყავს და ადამიანზე, როგორც სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავზე, პასუხისმგებლობას ამ ქვეყანაში არავინ იღებს, ხელისუფლება უძლურია, მოძებნოს გამოსავალი, რაც არ იცი, იმას ვერ გააკეთებ და არაკომპეტენტურობა სახეზეა. ალბათ, იკითხავთ, ეს ხალხი ან ამდენ ხანს რით არსებობს, მიგრაცია შეუქცევადია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს 1 მილიონ 600 ათასი მიგრანტი ჰყავს და წელიწადში თითქმის მილიარდ ნახევარი შემოედინება. აი, რაზე დგას ქართული ოჯახების დიდი ნაწილი... ამ ხალხს კი, ხელისუფლება ორმაგ მოქალაქეობას არ აძლევს. რას აკეთებს ხალხისთვის „ოცნების“ ხელისუფლება? რას დაჰპირდა ხალხს მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი და რა მივიღეთ?

2012 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა: „რაც შეეხება ეკონომიკის ზრდას და მის ტემპებს, პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი“(?!). ბატონო ბიძინა, თქვენ რომ მიხეილ სააკაშვილივით „ჩავლით“ ყოფილიყავით ეკონომიკასთან, ჩავთვლიდით, რომ მორიგი ფოკუსი ჩაგვიტარეთ, მაგრამ მსოფლიო მილიარდერების ტოპ-ჯგუფში შემავალ ბიზნესმენს, ასეთ შეცდომას ქართველი ხალხი ვერ აპატიებს. როგორც ბოლო დროს იკვეთება, პროგნოზებში ცდებით და სწორედ, მესამე წელი აღმოჩნდა ხალხისთვის მტკივნეული, ოცნება გახუნდა... ამ სიტყვამ თავისი მისტიკური ძალა დაკარგა. დღეს ქართველი ხალხის გულები მკვდარია, რადგან ბრძოლამაც აზრი დაკარგა. რატომ, რისთვის, ვისთვის უნდა იბრძოლოს ამ ხალხმა? „ოცნების“ ხელისუფლება საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მოიყვანა ამ ხალხმა და რა მიიღო? მიიღო შიმშილი და უპერსპექტივობა, ციყვებივით ვატრიალებთ ბარაბანს, საიდანც ვერ გამოვდივართ და გამოსავალიც არ ჩანს. ნეპოტიზმი დღეს კვლავ აქტუალურია და მხოლოდ ხელისუფლების ახლო ნათესავებმა იგრძნეს შვება, მათი მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდა და მათი საფულეც შეივსო, მაგრამ „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ“? საკუთარი თავის ზიზღს ნუ ჩაუნერგავთ ამ ხალხს, იბრძოდნენ მაშინ, როცა თქვენი კოალიციის ბევრი სუბიექტი, „ნაციონალურ“ რეჟიმს ემსახურებოდა და ვინც იბრძოდა, გადახედეთ დღეს მათ მდგომარეობას, უტიფრობაა, ერთი სამინისტროს დაფინანსება იზრდება, ეს რანაირად? ხალხი არ გთხოვთ ლუქსემბურგის მსგავსად პენსია 7000 ევრო იყოს, მაგრამ როგორ აგვიხსნით ევროპასთან ასოცირებული ქვეყნის შვილებს, რომ საქართველოში პენსია 150 ლარია და ხადური პენსიონერებს ამადლის, 10 ლარით გაგიზარდეთო? ხადურმა 10-ლარიანი პენსიის გაზრდა დააანონსა და მეორე დღეს „გაუფლანგა“. ეს ამბავი როგორაა, რატომ გვატყუებენ, ბატონო ბიძინა?! რა ქნას ახლა ამ ხალხმა ახალ წელს ნაძვის ხეზე ხადურის კარიკატურები ჩამოკიდოს და იოცნებოს, ესეც ციკანი, ესეც გოჭი, ესეც ღრუტუნა ღორიო?! არ დასრულდება მარტივად ეს ამბავი, ხალხს არ სჭირდება მიზეზებზე ლაპარაკი, ხალხი შედეგს ელოდება და ეს შედეგი თქვენი გათვლით, ბატონო ბიძინა, უნდა ყოფილიყო ეკონომიკური აღმასვლისა და ჯიბეგასქელების წელი!

ამ დროს, ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური აკეთებს უპასუხისმგებლო განცხადებას: ლარის გაუფასურებასა და ფასების მატებაზე პასუხს მე ნუ მომთხოვთო. აბა, ვის მოვთხოვოთ პასუხი?

**ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე შექმნილ ვითარებაზე, „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ მესამე წელი იქნებოდა ეკონომიკურად უკეთესი და ამას ხალხი თავის ჯიბეზე იგრძნობდა, მაგრამ მივიღეთ ის, რომ ლარი გაუფასურდა და დოლარი უმაღლეს ნიშნულს 1.9 ლარს მიუახლოვდა. ბოლო რამდენიმე წელია ლარის კურსის ვარდნა არ მომხდარა. რასთან გვაქვს საქმე?**

– ფულის მიწოდება ხელოვნურად შემცირებულია და ლარის კურსი ამის გამო ხელოვნურად ძალიან მაღალ ნიშნულზე იყო დაყენებული. მაკროეკონომიკური მიმართულების შემადგენლებია და ამიტომ, ისინი კოორდინირებულნი უნდა იყვნენ, სამწუხაროდ, ეს კოორდინაცია მათ შორის არ ხდებოდა.

**— ნოდარ ხადური თითს იშვერს ეროვნული ბანკის მისამართით და აცხადებს, რომ ის არ არის ლარის ინფლაციაზე პასუხისმგებელი და ეს კითხვები ირაკლი ქადაგიძეს უნდა დავუსვათ...**

– ეროვნული ბანკი უკვე ორი წელია, აბსოლუტურ გაუგებარ პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც თვითონ იყო მოთამაშე და გარკვეული ჯგუფის ინტერესებს ატარებდა. ბოლოს და ბოლოს, მივიღეთ ე.წ. გადავადებული მოთხოვნის ტექსტი, ანუ დაუხარჯავი ბიუჯეტის პროგრამები, ამ პროგრამების რეალიზაციას სჭირდება იმპორტი, იმპორტს სჭირდება დოლარი, ამიტომ ის ფული, რომელიც ბიუჯეტიდან წავიდა პროექტებზე, გადახურდავდა და დააწვა დოლარის მოთხოვნას. იმპორტიორებმა, რომლებსაც ფულის უზარმაზარი მასა აქვთ, დაიწყეს დოლარში ფულის გადახურდავება და გადავადებული კონტრაქტების დაჩქარება, რომ საქონლად ექციათ ის. მცირე ინვესტორებმა ფულის გატანა დაიწყეს ქვეყნიდან, თავისი ანგარიშები აქვთ და მათ უნდათ, რომ თავიანთი ანგარიშები მოაწესრიგონ, მოსახლეობამ კი ეს რეალობა რომ დაინახა, მივარდა გადამცვლელ პუნქტებს და დოლარში დაიწყო ფულის გადახურდავება. ყველა ეს პრობლემა ერთად დააწვა დოლარის მოთხოვნას, მივიღეთ ის, რაც არის... ახლა ის შეცდომა აღარ უნდა გაიმეოროს ეროვნულმა ბანკმა, რაც მან რამდენიმე თვის წინ დაუშვა, კურსი ნელ-ნელა დასაშვებია, მაგრამ ეროვნულ ბანკს უნდა ეყოს წესიერება და თქვას, რომ ლარის გარდაუვალი დევალვაცია დაიწყო და ეროვნული ბანკი ნელ-ნელა მთავრობასთან ის მავნებლურ და მცდარ პოლიტიკაზე უკვე ორი წელია, ვსაუბრობ, მაგრამ ფინანსთა მინისტრიც, თავის მხრივ, არ არის მართალი იმიტომ, რომ მაკროეკონომიკაში ყველაფერი ერთად არის და კოორდინირებული უნდა იყოს. მე ადრევე მოვუწოდებდი მთავრობას, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის ქადაგიძის პრობლემა გადაეჭრათ. ქადაგიძე, ღმერთმა იცის, ვის დავალებებს ასრულებს, შედეგი მივიღეთ. რა თქმა უნდა, ქადაგიძეს ამ საქმეში წვლილი მიუძღვის, მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს არის მხოლოდ ეროვნული ბანკის ბრალი, არ არის სწორი. ეროვნულ ბანკს პლუს მთავრობა, ერთად არიან ისინი დამნაშავეები ამ სიტუაციის შექმნაში.

**— თქვენი ინფორმაციით, ხელისუფლებამ რატომ ვერ შეძლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, „ნაციონალური მოძრაობის“ კადრი ირაკლი ქადაგიძე ჩამოეცილებინა. ამაზე ხომ ბევრს საუბრობდნენ?**

– ეს არის ეროვნული საბჭოს შემადგენლობა, რომელიც ისეა დაკომპლექტებული, რომელიც არანაირ ახალ კანდიდატურას არ მიიღებს. თავის დროზე საჭირო იყო ცვლილებების გატარება, ეროვნული ბანკის მმართველი საბჭო საერთოდ უნდა დაშლილიყო და ჩატარებულიყო რეფორმა, ამ მიმართულებით ხელისუფლებას ნაბიჯიც არ გადაუდგამს, შედეგიც მივიღეთ ძალიან ცუდი, დაზარალდა ხალხი, ისედაც დაზარალებული ეკონომიკა, ახლა კი ერთმანეთზე პრობლემის გადაბრალება, სწორი არ არის. ამ საქმეში მხოლოდ ქადაგიძე არ არის დამნაშავე, მას მისცეს ორი წელი, ეკეთებინა ის, რაც აკეთა. აი, აქ არის ხელისუფლების უდიდესი შეცდომა.

ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ტრაილერების შეჯახების შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა




ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშასთან ერთმანეთს ორი ტრაილერი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა – აზერბაიჯანისა და თურქეთის მოქალაქეები.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის, მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

### ბერუჩაშვილი მიხეილ უკლებას ჯანყარაშვილით ჩანაცვლებას უარყოფს



საგარეო საქმეთა მინისტრმა, თამარ ბერუჩაშვილმა, უკრაინაში, საქართველოს ელჩის, მიხეილ უკლებას, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნით, ზვიად ჯანყარაშვილით ჩანაცვლება უარყო.

„ბატონი უკლება არის ადგილზე. ის აქტიურად მუშაობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტზე უკრაინაში, რომელიც დაგეგმილია მომავალი წლის დასაწყისში. მანამდე იქნება რამდენიმე მინისტრის ვიზიტი უკრაინაში“, – განაცხადა ბერუჩაშვილმა. (ნიუპოსტი)



# კვიტაშვილისა და ზღულაძის თანამდებობებზე დანიშვნა დასავლეთის მოთხოვნაა?

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა და ქართველი „მამულიშვილების“ დაწინაურებამ პოროშენკოს სამთავრობო კარზე, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოში, უკრაინაშიც.

რა ხდება კონკრეტულად უკრაინაში? უშვებს თუ არა ამ ქვეყნის ხელისუფლება საბედისწერო შეცდომას? რატომ უგდებენ საკვანძო საკითხებს საქართველოში პოლიტიკურ ნაგავზე გადაყრილ ე.წ. რეფორმატორებს?

**ამ საკითხებზე „ალიას“ „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი, თემურ შაშიაშვილი ესაუბრება, რომელსაც ხშირი კონტაქტები აქვს როგორც კიევში მცხოვრებ ქართველებთან, ისე უკრაინის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან:**

**— ბატონო თემურ, დღეს ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს ერთი მძიმე კითხვა: ნუთუ ამხელა ქვეყანას ისე გაუჭირდა, რომ საქართველოში ჩაფლავებული ჩინოვნიკები მიიწვიოს საქართველოდან?**

– თქვენ გჯერათ, რომ უკრაინელებს ასე გაუჭირდათ? ეს ქვეყანა სავსეა განათლებული ხალხით, მაგარი პროფესიონალებით, მაგრამ მათ არ აქვთ ნდობა. თქვენ გგონიათ, ეს ჩამოწერილი ჩინოვნიკები საქართველოდან მიჰყავთ? არა, მათ ეროვნება არ გააჩნიათ, ესენი არიან მომზადებულები საერთაშორისო ავანტიურისტული ჯგუფების მიერ და სადაც დასჭირდებათ, იქ წაიყვანენ. ვიღაცას ჰგონია, სააკაშვილი რაღაცას აძლიერებს და თვითონ ნიშნავს ან ზღულაძეს, ან კვიტაშვილს. როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, ეს ხალხი აქ დაუნიშნეს და ახლა უნიშნავენ პოროშენკოს. მე ამ ადამიანებს ვიცნობ 1993-1994 წლებიდან, ყველა მუშაობდა ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებში. ამ ორგანიზაციებს ამერიკულსაც ვერ ვუწოდებ, ეს გახლავთ საერთაშორისო ავანტიურისტული ორგანიზაციები. მსოფლიო ავანტიურა დააწვა თავზე საქართველოსა და უკრაინას, ცდილობენ, მარწუხებში მოაქციონ რუსეთი, ვერაფერს ვერ აკლებენ და გვანგრევენ ჩვენ. ამ ავანტიურისტების მომზადებულია უკრაინის პრემიერ-მინისტრი იაცენიუკი. ჩემი უკრაინელი მეგობრები მეუბნებიან, რომ პოროშენკოს არც ეს ადამიანი მოსწონს და არც ისინი, ვისაც დღეს თანამდებობებზე ნიშნავენ, მაგრამ ჩააგდეს იგივე დღეში, რა დღეშიც იმყოფება დღეს ბიძინა ივანიშვილი. თქვენ გგონიათ, რომ პრეზიდენტმა დანიშნა პრემიერ-მინისტრად იაცენიუკი?

**— ეს გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, საერთაშორისო ავანტიურისტებს ადგილობრივი „მოწაფეები“ აერჩიათ?**

– არჩეული ჰყავთ... ესენი უკვე გამოსცადეს, ფრიადოსანი „მოწაფეები“ არიან. ახლა ვისაც უკრაინაში გამოცდიან, იმათ შემდგომში გამოიყენებენ სხვაგან. თუ გახსოვთ, როცა თბილისში პრეზიდენტები ჩამოდიოდნენ, შეხვედრებზე სააკაშვილის გვერდით ყოველთვის იდგა ეკა ზღულაძე. როგორ გგონიათ, რატომ? იმიტომ, რომ ის მინისტრად დანიშნეს მისმა პატრონებმა და არა სააკაშვილმა. წელან ბიძინა ივანიშვილი ვახსენე, ამ ადამიანმა დაინახა ყველაფერი და ამ ძალების წინაშე დაიჩოქა. თუ არ დაიჩოქებდა, მისი კაპიტალი ჩალად იქცეოდა. ახლა ირაკლი ღარიბაშვილი უწევს წინააღმდეგობას, მაგრამ რა გამოუვა, არ ვიცი.

**— ბატონო თემურ, თქვენი უკრაინელი მეგობრები კიდევ რას ამბობენ?**

– რას ამბობენ და მთელი მსოფლიოს ქართველი „კანონიერი ქურდები“ დღეს უკრაინაში არიან, სამი თვის წინ დაიწყეს კიევში და სხვა ქალაქებში ჩასვლა. საერთოდ, ქურდები რევოლუციის დროს ყოველთვის არიან რევოლუციონერების მხარეს. 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის მეორე დღეს საქართველოში ჩამოვიდა ორი პიროვნება – ქურდი ტარიელ ონიანი და მილიარდერი ბორის ბერეზოვსკი. ჩემი გუბერნატორობის დროს ონიანი ქუთაისში ვერ ჩამოდიოდა, ჩემი ეშინოდა. რევოლუციის შემდეგ ჩამობრძანდა. ქუთაისი რომ გაეცლო, მას ემზარ კვიციანი წამოჰყვა. კვიციანია ის პიროვნება, რომელმაც ტარიელ ონიანი და მიხეილ სააკაშვილი დაამეგობრა.

**— ქართველი ქურდები უკრაინაში რას აკეთებენ?**

– ისინი დღეს ხელისუფლების მხარეს დგანან და ყველაზე მეტად კლიჩკოს ირგვლივ ტრიალებენ. კატასტროფაა, რაც იქ ხდება. ჩვენ ბევრი რამ გავიარეთ და უკრაინას ჯერ კიდევ გასავლელი აქვს. თქვენ გახსოვთ, ვინ იყვნენ თავიდან მიხეილ სააკაშვილის მრჩევლები? ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ჩამოიყვანეს და დაუსვეს. ვინც გამოსცადეს და გაწვრთნეს ბალტიისპირეთში, აქ ჩამოიყვანეს მრჩევლებად, ვინც აქ გამოსცადეს და გაწვრთნეს, ისინი წაიყვანეს უკრაინაში.

**— ხალხი ამდენს ვერ ხვდება?**

– დღეს უკრაინაში ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, პური როგორ იშოვოს, აღარ იცის, რა პოლიტიკასა და რა თანამდებობაზეა ლაპარაკი? იაცენიუკი არის მეორე სააკაშვილი, დაუკვირდით მის მანერებს, საქციელს, ყველაფერი იგივეა, იულია ტიმოშენკოსა და ვიქტორ იუშჩენკოს არ გაუვლიათ ამერიკული კურსები, როცა ისინი თანამდებობებზე მოვიდნენ, იაცენიუკი და მისი მეგობრები ამერიკაში კურსებს გადიოდნენ და ახლა მთავარ ფიგურებად აქციეს.

**— რას ამბობენ უკრაინული ინტელიგენციის წრეებში? ჩვენთან ბევრი ამბობს, რომ უნდა გაწყდეს დიპლომატიური ურთიერთობა და ჩვენმა ხელისუფლებამ უკრაინის ხელისუფლებას წარუდგინოს პრეტენზიები.**

– რაც ხდება დღეს უკრაინაში, ვინც მიჰყავთ საქართველოდან, ეს არ არის უკრაინელების გადაწყვეტილება და სხვათა შორის, არც პრეზიდენტის გადაწყვეტილება. ჩვენ ამ გადაწყვეტილებებს ნუ გავაიგივებთ უკრაინელ ხალხთან. მე ვიცი ძალიან ბევრი პიროვნების აზრი, მაგალითად, ერთ-ერთი იყო უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი, მას ძალიან კარგად ვიცნობ, ნამდვილი პატრიოტია, მაგრამ ამ დღეებში გაათავისუფლეს. დღეს იქ უკვე აღარ მოსწონთ უკრაინული იდეოლოგიისა და ფიზიონომიის ადამიანები.

**— შეიძლება, რომ უკრაინა გამოვიდეს კრიზისული მდგომარეობიდან და ამ ვითომ რეფორმატორების იდეებმა გაამართლოს?**

– ეგ გამორიცხულია, ამ ხალხს ძალიან ცოტა დროს ვაძლევ. როგორც უკრაინელი მეგობრები მეუბნებიან, ამ ყველაფერს დიდხანს ვერ აიტანენ. ველაპარაკე უკრაინაში ექვს პიროვნებას, ავუხსენი, ვინ არიან ესენი და ისიც ვუთხარი, ქართველებთან ნუ გააიგივებთ-მეთქი. ისინი მეთანხმებიან. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საქართველოშიც არ მიდის ჯანსაღი პროცესი, შეიძლება, რომ ყველა „ნაციონალი“ თუ „არანაციონალი“ დეპუტატი ქმნიდეს არასამთავრობო ორგანიზაციას? ჩიორა თაქთაქიშვილს განუცხადებია, „ნაციონალური მოძრაობიდან“ მივდივარ და არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა შევქმნაო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, საიდან მოდის ამდენი ფული? თუ ქართული ცნობიერების ადამიანები არ გაერთიანდებიან, უახლოეს ხანში თავზე დაგვამხობენ ერთმანეთს. შეიძლება ბევრს აღარ ახსოვს, როდესაც მიშას გაუჭირდებოდა ხოლმე, თბილისში ეგრევე კლიჩკო მოფრინავდა, მას ხვდებოდა და შემდეგ ღიად აცხადებდა, მხარს ვუჭერ საქართველოს პრეზიდენტსო. თქვენ გგონიათ, მათი თანამშრომლობა ახლა დაიწყო? კლიჩკო და მისნაირებიც ყოფდნენ ცხვირს საქართველოს საშინაო საქმეებში და ახლაც თანამშრომლობენ. შეიძლება რაღაც მომენტში ჩვენთან უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდრე უკრაინაში, რადგან აქ უფრო მეტი ავანტიურისტი ჰყავთ მომზადებული. თუ ჩვენ ამ ავანტიურისტებს გავუძელით და უცხოეთიდან შემოსულმა ფულმა არ წაგვლეკა, ყოჩაღ საქართველოს, მაშინ მართლა მაგრები ვიქნებით.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

# ლიბერთი ბანკის ახალი სერვისცენტრი წეროვანში



ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 2 დეკემბერს, ბანკის დირექტორმა, დავით ვერულაშვილმა, წეროვანში, ლტოლვილთა დასახლებაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

ლიბერთი ბანკმა ბოლო 5 წლის 130-ზე მეტი ფილიალისა და სერვისცენტრის მოდერნიზება მოახდინა. ბანკი საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.4 მლნ ფიზიკურ და 69 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

**ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2014 წლის მაისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 8.0%-ს შეადგენს.**





# რაზე ესაუბრა „საია“-ს ხელმძღვანელი ევროსაბჭოს წარმომადგენლებს?

„საია“-ს ხელმძღვანელის კახა კოჟორიძის განცხადებით, ის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდა: „ვისაუბრე იმ საქმეებზე, სადაც გამოძიების არაეფექტურობას ვხედავთ, ვისაუბრეთ სასჯელაღსრულების სისტემაზე, იყო საუბარი ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონზე, ზოგადად, პოლიტიკურ-სამართლებრივ მოვლენებზე, პროცესებზე, რომელიც საქართველოს პარლამენტში ვითარდება“.

**რა საკითხებზე ისაუბრეს არასამთავრობოებმა ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე? დეტალების გასარკვევად „ალია“ კახა კოჟორიძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო კახა, შეხვედრა ვისი ინიციატივით შედგა?**

– ჩვენ გვთხოვეს ევროსაბჭოდან, რომ ჩამოდიოდნენ ევროსაბჭოს მომხსენებლები, რომლებიც იყვნენ მაშინაც მომხსენებლები. მათ აინტერესებდათ მართლმსაჯულების თემა, ასევე სხვადასხვა საკითხები და გვთხოვეს შეხვედრა. არ მიკითხავს მათთვის, ამ შეხვედრის შედეგები რაზე აისახება. როცა აინტერესებთ ქვეყანაში მიმდინარე ამბები, ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვითარება, მათ ვხვდებით, ვაწოდებთ ინფორმაციას, ვცდილობთ, რომ ეს ინფორმაცია იყოს ობიექტური და მიმდინარე მოვლენების ამსახველი. საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთანაც გვქონდა შეხვედრა, სადაც ვისაუბრეთ პროკურატურასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს შეხვედრები ჩვენი სამუშაოს ნაწილია.

**— კონკრეტულად რაზე გაამახვილეთ ყურადღება?**

– ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით ვისაუბრეთ ზოგადად, იმ პროცესის შესახებ, რაც განვითარდა. ავუხსენით მათ, რატომ მიგვაჩნდა, რომ მიღებული კანონი იყო საფრთხის შემცველი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, იყო ძალიან ზოგადი საუბარი და დეტალებს არ ჩავღრმავებივართ. არც მათ ჰქონიათ კითხვა, დეტალურად გაეგოთ. ზოგადი საუბარი გვქონდა, რადგან, როგორც შევატყვე, ისინი საქმის კურსში იყვნენ, რაც ხდებოდა საქართველოში. ჩვენი საუბარი ძირითადად სასამართლოსა და პროკურატურას ეხებოდა.

**— გამოძიების არაეფექტურობაზეც გისაუბრიათ და რა საკითხებს შეეხეთ კონკრეტულად?**

– მე პირადად ვისაუბრე, რომ „საია“ მონიტორინგს უწევს იმ საქმეებს, სადაც ვხედავთ, რომ გამოძიება არაა ეფექტური. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმ მოქალაქეების „კეისებს“, სადაც მოქალაქეები ამბობენ, რომ არიან პოლიციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი. მიმდინარე წელს „საია“-ს 30-ზე მეტმა მოქალაქემ მიმართა ამ საჩივრით. ეს არ არის დაფიქსირებული შემთხვევები, ვითხოვდით სათანადო რეაგირებას. არც ერთი პოლიციელი პასუხისგებაში არ არის მიცემული, დევნა არ ხორციელდება, ფორმალურად დაიწყო ეს დევნა და კონკრეტული პირი არ გამოუკვეთია პროკურატურას. ასევე, ვთქვი, რომ სახალხო დამცველსაც აქვს დაახლოებით 40 საქმე, სადაც იგივე შინაარსის საჩივრებია. მიმდინარე წლის ზაფხულში ამაზე გვქონდა ერთობლივი კონფერენცია და მოვითხოვეთ დამატებითი საგამოძიებო ორგანოს შექმნა, რომელიც გამოიძიებს პოლიციელების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტია შიო კობიძის შემთხვევა. ის მიმართავდა ორგანოებს, რომ გახდა წამების მსხვერპლი, მაგრამ არათუ გამოძიება არ იყო ეფექტური, არც კი დაკითხულა. ის ამბობდა, რომ მოწმეც არსებობდა, მაგრამ 4 თვე ისე გავიდა, შიდა მიმართვებს შედეგი არ გამოუღია, იმის მიუხედავად, რომ ადვოკატი ჰყავდა. ამ ფაქტს არ ახმაურებდნენ, რადგან იყო პოლიტიკურად აქტიური, იანვარში კი მოვიდა ჩვენთან და მეოთხე დღეს დაიწყო გამოძიება. თუმცა, კონკრეტული პირები არ დასჯილან და ის პოლიციელები ისევ მუშაობენ ორგანოებში. ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელები დაეკისრათ პოლიციელებს, მაგრამ როცა საუბარია წამებაზე, ამ დანაშაულისთვის დისციპლინური სასჯელი არის მინიმუმი.

– სასჯელაღსრულებაზე რა უთხარით?

– დადებითად შევაფასეთ სამინისტროს ბოლო საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ამ უწყების რეფორმას. ვისაუბრე იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში საუბარია ალტერნატიული მონიტორინგის სისტემის შექმნაზე, რაც გულისხმობს არასამთავრობოების ჩართულობას ამ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში ხელისუფლებამ ჩაწერა, რომ ეს გასაკეთებელია, დღემდე არ ხორციელდება. ჩვენ ვთქვით, რომ ეს მნიშვნელოვანი საქმეა და მთავრობამ ვალდებულება უნდა შეასრულოს.

– რა პასუხი მიიღეთ ევროსაბჭოს წარმომადგენლებისგან, მათ რამეში დახმარება შეუძლიათ?

– ისინი გეგმავენ შეხვედრებს სამთავრობო წარმომადგენლებთან, სხვადასხვა თანამდებობის პირებთან. ეს იყო პირველი შეხვედრა და მიიღეს სრული ინფორმაცია იმაზე, რას ვუყურებთ, როგორც პრობლემას. ჩვენგან მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ მთავრობასთან საუბარში, გაუჩნდებათ კითხვები და მიიღებენ პასუხებს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# რას მოიგებს და წააგებს საქართველო, თუკი რუსეთ-თურქეთის გაზსადენი საქართველოზე გაივლის?



**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე, საქართველოს მთავრობას ისტორიული შანსის გამოყენებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, მთავრობამ რუსეთსა და თურქეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანა უნდა შესთავაზოს. ეს პროექტი, ქვეყნის ჭკვიანი მმართველის პირობებში, საქართველოსთვის პრობლემების მოგვარების სერიოზული შესაძლებლობა იქნება.**

**გაზსადენის გაყვანის შემთხვევაში, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მივიღოთ?**

**„ალიას“ „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ თავმჯდომარე, სოსო ცისკარიშვილი ესაუბრა:**

– გაზსადენის გაყვანა საქართველოს გავლით, დღევანდელ ვითარებაში რუსეთისთვის იქნება ზედმეტი თავის ტკივილი, რისი ფუფუნების უფლებაც მათ მას შემდეგ აღარ დარჩათ, რაც უკვე 100 მილიარდი დოლარით გამოიხატა რუსეთის ფინანსური ზარალი უკანასკნელი თვეების განმავლობაში. რაც შეეხება საქართველოს, უხეშად რომ ვთქვა, ამ რუსეთ-თურქეთის ტრანზიტი დაახლოებით იმ დოზით იქნება დადებითი შედეგის მომტანი, როგორიც დღეს „ბაქო-ჯეიჰანია, გაზის გარკვეულ რაოდენობას მოგვცემენ.

ჯერჯერობით უნდა გავარკვიოთ აფხაზეთის საკითხი, რადგან ეს გაზსადენი, სახმელეთო ტრასა აფხაზეთზე გაივლის, ცხადია. თუ ამას რაიმე პოლიტიკური დატვირთვა შეექმნება რუსეთის მხრიდან, მაშინ ეს ნაკლებად მისაღები იქნება საქართველოსთვის, თუმცა, არაფერია გამორიცხული.

**— ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ საქართველოს მთავრობამ რუსეთსა და თურქეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანა უნდა შესთავაზოს. რამდენად მომგებიანი იქნება მსგავსი ინიციატივის გამოჩენა საქართველოსთვის დღევანდელ ვითარებაში?**

– როცა რესურსის მფლობელს ასეთ მოდელს, ასეთ წინადადებას აძლევ, ეს აღიქმება, როგორც თეზისი – „ბიძია, დამეხმარე...“ „ბიძია, დამეხმარეს“ და „დეიდა, დამეხმარეს“ სტატუსით, საქართველო, არ მგონია მიმზიდველი იყოს, ან რუსეთისთვის, ან თურქეთისთვის. როგორც ამბობენ, თუ „ჩიტი ბრდღვნად ღირს“, მაშინ რუსეთი თავად შესთავაზებს ამ წინადადებას საქართველოს, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ სახმელეთო მარშრუტი მოსკოვისთვის მისაღები იქნება, რადგან მისთვის წყალქვეშა ინფრასტრუქტურა ბევრად უფრო სანდოა და არ ექვემდებარება პოლიტიკურ რყევებს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ხელშეკრულება ჟენევის მოლაპარაკებებს საფრთხეს უქმნის“



საქართველოს ელჩი ევროკავშირში, ნატალია საბანაძე მიიჩნევს, რომ რუსეთ-აფხაზეთს შორის გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულება ჟენევის მოლაპარაკებებს საფრთხეს უქმნის. მისივე თქმით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება რუსეთის განზრახვას ასახავს.

„ჩვენმა მთავრობამ ეს ქმედება ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. ამ მოსაზრებას ჩვენი არაერთი ევროპელი პარტნიორი იზიარებს. ეს დოკუმენტი ახალ რეალობას შექმნის. ბორდერიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია აფხაზეთსა და ცხინვალში, მავთულხლართები ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული. ეს ყველაფერი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შანსს ამცირებს და საფრთხეს უქმნის აფხაზეთთან პირდაპირი დიალოგს. შესაძლოა, ამ დოკუმენტმა ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატზეც იქონიოს გავლენა“, – განაცხადა საბანაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ქუთაისში კახა ბენდუქიძის სახელობის ქუჩას ითხოვენ



არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლია“-ს წარმომადგენლები ქუთაისის საკრებულოს ქუჩებისთვის საბჭოური პერიოდის ლიდერების სახელების გადარქმევას სთხოვს. ისინი ქუჩების გარდა, სკვერების სახელწოდების ცვლილებასა და საბჭოური ძეგლების აღებასაც ითხოვენ.

„ქუთაისის საკრებულო უნდა მოექცეს კანონის ფარგლებში და სასწრაფოდ უნდა მოახდინონ კომუნისტურ-ტოტალური იდეოლოგიის გამომხატველი სომბოლიკების აღმოფხვრა. ჩვენი არც ერთი ინიციატივა არასოდეს გაუთვალისწინებია ადგილობრივ თვითმმართველობას. თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია კანონის დაცვაზე“, – განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა თორნიკე ბარათაშვილმა.

აღნიშნულ ორგანიზაციას მოთხოვნასთან ერთად ქალაქის თვითმმართველობასთან შეთავაზებაც აქვს, თუ ვისი სახელობის ქუჩები ან სკვერი უნდა იყოს ქუთაისში:

მათ შორისაა, კახა ბენდუქიძის სახელობის ქუჩა, ამბროსი ხელაიას, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის, მიხა ხელაშვილის, ახალმოწამეებისა და რობერტ შუმენის სახელწოდების ქუჩები – ეს იმ ადამიანების ჩამონათვალია, რომელთა სახელობის ქუჩები „ევროპა ჩვენი სახლია“-ს წარმომადგენლების აზრით, უნდა იყო ქუთაისში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# „ვფიქრობთ, საქმე საბოლოოდ ევროსასამართლომდეც მივა...“

## რა სამართლებრივი კვლევა დადო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“

**რადგანაც საზოგადოებაში საყდრისის საკითხთან დაკავშირებით პაუზა საკმარისზე მეტად გაიწელა და რადგანაც ამ პაუზის დროს ერთიანად მძიმედ ზარალდება ჯერ სახელმწიფო და შემდეგ ინვესტორი, საკითხის უკეთ გარკვევისთვის საქმეში ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩაებნენ. ორგანიზაციამ საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სამართლებრივი სტატუსის შესახებ კვლევა მოამზადა და სარეკომენდაციო წინადადებები წარმოადგინა, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების შესწავლის შემდეგ მომზადდა.**

**„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევა პასუხობს იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ საზოგადოებაში გაჩნდა და დისკუსია დღემდე მიმდინარეობს.**

**არჩილ კაიკაციშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ლიდერი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:**

– აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდება, რათა უფრო დაზუსტდეს ის სადისკუსიო ველი, რაც თემასთან დაკავშირებით არსებობს. ჩვენ მიერ შეკრებილი მასალით, იმედს ვიტოვებთ, რომ დაინტერესდება ყველა, ვისაც საყდრისის თემა აინტერესებს. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით მრავალმხრივი კვლევა აქამდე არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით საკითხით დაინტერესებული ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან 2013-14 წლებში გამოქვეყნებულ მონიტორინგს.

ორგანიზაციამ საყდრისის საკითხზე ანალიზი მოამზადა სხვადასხვა საჯარო უწყებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე. ანუ, ჩვენ მიერ ჩატარებულ ანალიზში შეკრიბეთ ყველა ის გარემოება, რაც ამ ობიექტთან დაკავშირებით წლების მანძილზე არსებობს. ჩვენი ორგანიზაციის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, კონკრეტულად ამ ძეგლთან დაკავშირებით რა სამართლებრივი მოქმედებები განხორციელდა, რა მტკიცებულებების საფუძველზე რა დოკუმენტები გვაქვს, რა მივიღეთ 2013-2014 წლებში ძეგლთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და ბოლოს გაგაცნობთ ჩვენს დასკვნასა და სარეკომენდაციო ნაწილს, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალზე მიახლოებულია სინამდვილესთან, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრის გზებისა და მექანიზმების დასახვა, ისე რომ არ დაზიანდეს არც ერთი მხარის ინტერესი. მაგრამ სანამ ჩვენ რომელიმე მხარის ინტერესზე ვისაუბრებდეთ, მანამდე საინტერესოა, თვითონ ობიექტთან დაკავშირებით გარკვეული სამართლებრივი მხარე, როგორ მიენიჭა მას სტატუსი, როგორ მოეხსნა სტატუსი, რათა სრული წარმოდგენა გვქონდეს ობიექტზე. ჩვენი მთავარი მიზანი იყო საყდრისთან დაკავშირებით ყველა სამართლებრივი მოქმედებების სააშკარაოზე გამოტანა, ასევე, იმის დადგენა, რამდენად კომპეტენტურად მოქმედებდა ამ ძეგლთან დაკავშირებით თავად სახელმწიფო, რამდენად მართლზომიერი იყო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რა სამართლებრივ სტატუსებს ეფუძნებოდა ძეგლის სტატუსის მინიჭება, შემდეგ მოხსნა და ახლა რა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, კვლევაში საყდრისი განხილულია, როგორც სახელმწიფოს ვალდებულების, ინვესტორის პასუხისმგებლობისა და საჯარო ინტერესის კონტექსტში და ჩვენს ნაშრომს აქვს სერიოზული და საქმიანი კვლევის პრეტენზია. ჩვენს მიერ შესწავლილია ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ასევე ძალიან საინტერესო კვლევა, ასევე „მწვანე ალტერნატივის“ კვლევაც და ვთვლით, რომ ყველა ახალი გამოკვლევა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ალბათ, შეამჩნიეთ, რომ ჩვენ ვახსენებთ საყდრისს, როგორც „ობიექტს“ და არა ძეგლს, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში საყდრისს დღეს სწორედ ეს სტატუსი აქვს მინიჭებული და ხაზს ვუსვამთ, რომ, სანამ არ გაირკვევა სინამდვილე, მანამდე კვლევაში საყდრისს ობიექტად მოვიხსენიებთ. ახლა მოდით, მივყვეთ ქრონოლოგიას: 1977 წელს მიღებული იქნა კანონი „ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის შესახებ“, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა კულტურული მნიშვნელობის ძეგლები საქართველოში. ამის შემდეგ საქართველოს მაშინდელმა პარლამენტმა 1999 წელს მიიღო ახალი კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ და აღნიშნულმა კანონმა ცალსახად მიუთითა, რომ შეიქმნა თვისობრივად ახალი პრინციპები კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. ამ ახალმა კანონმა ძალადაკარგულად გამოაცხადა 1977 წელს მიღებული კანონქვემდებარე აქტები, რომლის მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ კულტურის ძეგლებად. 2006 წელს კულტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, 1977 წლის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონის მოქმედების პერიოდში კულტურის ძეგლებად გამოცხადებულ 4074 ობიექტს, მინიჭებოდა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. მაგრამ აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება: საქმე ის არის, რომ ამ ძეგლების მიმართ არსებობს სამართლებრივი დასაბუთება, რატომ მოხვდნენ ისინი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლთა ნუსხაში, მაგრამ „საყდრისის“ სიძველესთან დაკავშირებით ამ ჩამონათვალში არსებობს ცარიელი გრაფა! ანუ ვიმეორებ, საფუძველი, რის გამოც მიენიჭა საყდრისს ბრძანების თანახმად ძეგლის სტატუსი, კულტურის მაშინდელი სამინისტროს მიერ შედგენილ დანართში, სადაც მთელი საქართველო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია ჩამონათვალი, არ გვხდება. ჩვენ სხვადასხვა მხრიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია, რატომ მოხდა ასე და ვერ მივაგენით შესაბამისს დოკუმენტს! ვიმეორებ, ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მსგავსი დოკუმენტი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფუძველი, რის გამო მიენიჭა საყდრისს ძეგლის სტატუსი, დადგინდა ყოველგვარი გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე.

ამის შემდეგ უკვე კულტურის სამინისტრომ 2013 წლის 5 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება საყდრისის ძეგლზე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მოხსნის შესახებ. თავად ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კულტურის სამინისტროში შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველს და „არემჯი კომპანიაზე“ გაიცა ნებართვა, რომ იქ ჩატარებულიყო სამუშაოები. აქვე ვიტყვით, რომ ოქროს მომპოვებელ კომპანიას, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე ახორციელებს სამუშაოებს, 2015 წლამდე აქვს ტერიტორიაზე მუშაობის ლიცენზია. მოკლედ, ისევ დავუბრუნდებით სტატუსის საკითხს: 2013 წელს მინისტრის გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო სასამართლო დავა. ძალიან მნიშვნელოვანია, რა თქვა ამის შესახებ სასამართლომ: 2013 წელს მათ შორის „მწვანე ალტერნატივისა“ და კახა კოჟორიძის მოსარჩელეობით აღძრულ სარჩელებში სასამართლო ცალსახად მიუთითებს, რომ თავის დროზე საყდრისს არასწორად მიენიჭა ძეგლის სტატუსი. ანუ კახა კოჟორიძის დავის დროს სასამართლომ ის კი არ თქვა, რომ მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება უკანონოა და უნდა გაუქმდესო, სასამართლომ განაცხადა, მე არ ვიცი, რა ობიექტთან მაქვს საქმე, არ ჩანს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, რადგანაც შესაბამისი დოკუმენტი არ ჩანსო. ანუ ეს საკითხი სადავოა. ამიტომ დროებით შეჩერდა კომპანიის საქმიანობა მანამდე, სანამ გაერკვეოდა სადავო ობიექტის საკითხი. ეს იყო პირველი გადაწყვეტილება. რაც შეეხება მეორე გადაწყვეტილებას, მოსარჩელის მოთხოვნა იყო, რომ გაუქმებულიყო მინისტრის ბრძანება. სასამართლომ მეორე შემთხვევაში განაცხადა, მინისტრის ბრძანება ნამდვილად უნდა გაუქმდეს, მაგრამ ერთი დათქმით: უნდა მოხდეს მთელი რიგი საკითხების შესწავლა და საქალაქო სასამართლომ მეორე გადაწყვეტილებით მიუთითა, რომ 2006 წელს და შესაბამისად, 2013 წლის ივლისში მიღებული ბრძანებები საყდრისთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მე-60 მუხლის თანახმად, გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე მიიღოო. რაც შეეხება სამინისტროს: 2013 წელს, როცა მინისტრმა გამოსცა ბრძანება ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით, ეს ბრძანება დაეფუძნა იმ კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც კულტურის სამინისტროში იყო შექმნილი სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით. კომისია ნამდვილად იყო დაკომპლექტებული კომპეტენტური მეცნიერებით და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძეგლს სტატუსი უნდა მოხსნოდა, მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა: მინისტრმა კომისია შექმნა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის წარმოსადგენად, რომელიც მინისტრისთვის იქნებოდა ან მისაღები, ან არა. მინისტრის ბრძანება კი უნდა დაფუძნებოდა არა კომისიის გადაწყვეტილებას, არამედ კულტურის სამინისტროში არსებულ საბჭოს დასკვნას, რადგანაც, გადაწყვეტილებას სწორედ ის იღებს. შესაბამისად, სასამართლოც სწორად მსჯელობს, რომ ეს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველიც გახლდათ კომისიის დასკვნა და არა საბჭოსი, შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვის დადგენილი ნორმების დარღვევით არის მიღებული. ანუ მივიღეთ ჩიხური სიტუაცია: მიმდინარეობს დავა და ეს დავა აუცილებლად კიდევ გაგრძელდება, ვფიქრობთ, საქმე საბოლოოდ მივა ევროსასამართლომდეც, მაგრამ ამასობაში საზოგადოებას სურს პრობლემაში გარკვევა, თუ რა ხდება. დიდი პრობლემის წინაშე დადგა თავად სახელმწიფო, ასევე ინვესტორი, რომელიც ყველაზე მეტად ზარალდება და საბოლოოდ ორივე მხარე. სავარაუდოდ, ეს დავა გაგრძელდება 5-6 წლის მანძილზე, ამასობაში კი, ვიმეორებთ, ინვესტორს სერიოზული პრობლემები ექმნება, ამიტომ, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რადგანაც საკითხის გარკვევაში ბევრი ლაფსუსია სამართლებრივი თვალსაზრისითაც, სპონტანურად არის თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილებები 2006 წელს და 2013 წელსაც, საქმეში ჩანს არაკომპეტენტურობა, ვინც ამ ბრძანებებს იღებდა, შესაბამისად, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ კარგი იქნება გამოსავლის მოძებნასთან დაკავშირებით ახალმა მინისტრმა განიხილოს გადაწყვეტილება 2013 წლის 5 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ეს საკითხი არის შესასწავლი, რომ აქ მოხდა დიდი ხარვეზი და კიდევ ერთხელ იქნას ეს საკითხი უკვე ბოლომდე შესწავლილი. ეს არის ყველაზე სწორი გამოსავალი!



„ახალგაზრდა ადვოკატები“ სარეკომენდაციო წინადადებით მიმართავს საქართველოს მთავრობას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და სასამართლოში მოდავე მხარეებს, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის პრობლემასთან მიმართებით, დაიწყოს გამოსავლის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა და ამ მიმართულებით მიღებულ იქნეს შემდეგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები:

ჩვენი აზრით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განახორციელოს საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სრულმასშტაბიანი შესწავლა ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხი გადაწყვიტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის შემდგომი ბედი უნდა განისაზღვროს კულტურის მინისტრის მიერ, მას შემდეგ, რაც სამინისტრომ მიერ გადაწყვეტილი იქნება ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხი.

საქართველოს მთავრობის მიმართ გვაქვს შემდეგი სარეკომენდაციო წინადადება, საქართველოს კანონმდებლობით საყდრისის ობიექტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა უშუალო გადაწყვეტილებას არ იღებს და ეს საკითხი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრეროგატივაა, ამიტომ საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ სამინისტროს მიერ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა მოხდეს დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, ისე, რომ მათი ზეგავლენისგან თავისუფალი ვითარება არსებობდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სწორი ანალიზის პირობებში. რაც შეეხება სასამართლოში მოდავე მხარეებს, ორგანიზაცია მოუწოდებს საყდრისის ობიექტთან დაკავშირებულ სასამართლოში მოდავე მხარეებს იგივე საქართველოს მთავრობას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კომპანია „არემჯი გოლდსა“ და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლო დავის მორიგებით დასრულების შესახებ.



# რა გარიგება შედგა სააკაშვილსა და პოროშენკოს შორის?

**რა გავლენა აქვს სააკაშვილს უკრაინაში? რის სანაცვლოდ მიდიან ქართველები უკრაინაში მაღალ პოსტებზე სამუშაოდ?**

„ალიას" ყოფილი პოლიტპატიმარი **ტრისტან წითელაშვილი** ესაუბრა:

– დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილის ყოფილ მინისტრებზე, რომლებზეც სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს და ძებნაა გამოცხადებული საერთაშორისო მასშტაბით, დღეს ინიშნებიან უკრაინაში, ზოგი მინისტრებად, ზოგი მოადგილეებად. პოლიტიკური თვალსაზრისით, როცა ერთ სახელმწიფოში მაღალ თანამდებობაზე მეორე სახელმწიფოში კრიმინალებად აღიარებული ადამიანები ინიშნებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ ითვალისწინებს ამ ქვეყნის გადაწყვეტილებებს, რა აქვს მიღებული ამა თუ იმ პირის მიმართ. უკვე მიმდინარეობს პოლიტიკური გაციების პროცესი უკრაინა-საქართველოს შორის, იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ურთიერთობები გაღრმავდეს, პირიქით, ჩვენს აზრებსა და შეხედულებებს უკრაინა არ ითვალისწინებს. ეს პროცესები ხდება იმიტომ, რომ უკრაინა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია როგორც სამხედრო მოქმედებების თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურად. როცა ქვეყანაში მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, ეკონომიკა ნულამდე დავიდა. თუ არ მოხდა ამ დროს მეგობრებისა და პარტნიორების დახმარება იმ რაოდენობით, რომ ცოტა სული მოითქვას ეკონომიკამ, ქვეყანა დასუსტდება. უკრაინას დასავლეთიდან დახმარება შეეზღუდა, დაპირებების მიუხედავად. მას ჰპირდებოდნენ ფინანსურ დახმარებასაც და ტექნიკასაც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკრაინა მოატყუეს მათ, დახმარება არ ჩანს. ამ დროს აქტიურობს სააკაშვილი, მან თავისი ნაცნობობით, მიაღწია იმას, რომ შეთანხმდა პოროშენკოსთან, უკრაინის პრეზიდენტთან, რომ, თუ მისი გუნდი უკრაინაში იქნებოდა წარმოდგენილი და მოხდებოდა მისი რეაბილიტაცია, იმ თანხებს, რომელიც საქართველოდან გაიტანეს, ჩადებდა უკრაინის ეკონომიკაში. ამ თანხების მობილიზება მან განახორციელა. შეთანხმება ფულზე გაიყიდა, მაგრამ რამდენი ჩადო, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. უკრაინაში ბევრი მეგობარი მყავს, კოლეგები მაწვდიან ინფორმაციას და მეუბნებიან, რომ ყველაფერი ფულის სანაცვლოდ ხდება.

**— სააკაშვილს უკრაინაში მართლა აქვს რაიმე გავლენა?**

– მეტი გავლენა არ აქვს, გარდა ფინანსური ინტერესებისა.

**— კიდევ რამეს დაჰპირდა სააკაშვილი პოროშენკოს?**

– ასევე დაჰპირდა უკრაინის ხელისუფლებას, რომ მოახდენს „ბოევიკების" მობილიზებას, გადაისვრიან უკრაინაში და ჩაებმებიან დონბასში საბრძოლო მოქმედებებში. ეს სააკაშვილმა აიღო თავის თავზე, თავისივე დაფინანსებით.

**— სააკაშვილს ეს მხოლოდ რეაბილიტაციისთვის სჭირდება?**

– მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ აქვს, მას ამერიკაში დამკვიდრება უჭირს, სამუშაო ვიზა არ მისცეს. ამერიკელები ეჭვით უყურებენ, რადგან ბევრ რამეში დარწმუნდნენ, რასაც საქართველოში მასზე საუბრობენ. სხვა ქვეყნებმაც ვერ მისცეს გარანტია, რომ რომელიმე ქვეყანაში იქნებოდა ხელშეუხებელი, ამიტომ უკრაინა ამოირჩია იმისთვის, რომ ექცია პლაცდარმად. მოგეხსენებათ, რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა საქართველოში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, ყველა ვარიანტი ჩაუვარდა და ახალი პლაცდარმი სჭირდება საქართველოში დასაბრუნებლად. ახლა გადავიდა საარჩევნო მომზადებაზე. უნდა უკრაინაში დამკვიდრება და იქიდან თითის ქნევა, რომ დაბრუნდეს ქვეყანაში. სააკაშვილი ტყუილად ფულს არ გადაიხდის. სააკაშვილმა ასეთი პატარა ქვეყანა დაანგრია და ამხელა უკრაინას ააშენებს?

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პარლამენტს ზედმეტი მოუვიდა და უნდა მოვინანიო"

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პარლამენტს ზედმეტი მოუვიდა, როდესაც იუსტიციის მინისტრი პროკურატურისგან სრულად განაიარაღა. მისი თქმით, იუსტიციის მინისტრი, რომელიც კონსტიტუციურად პასუხისმგებელია ამ უწყებაზე, სათანადო ბერკეტებით უნდა იყოს აღჭურვილი.

„უნდა ავიღო ჩემს თავზე პასუხისმგებლობა და მოვინანიო ის, რომ მაშინდელი ცვლილებების დროს ჩვენ ზედმეტი მოგვივიდა, რომ იუსტიციის მინისტრი პრაქტიკულად სრულად განვაიარაღეთ პროკურატურის მიმართ პოლიტიკური ხელმძღვანელობის განხორციელების ბერკეტებისგან. იმ კანონპროექტისთვის მხარი მაქვს დაჭერილი და ვამბობ, რომ ჩვენ მაშინ ზედმეტი მოგვივიდა. მაშინ ზედმეტად დავასუსტეთ იუსტიციის მინისტრი, ეს დაგვანახა პრაქტიკამ და ცხოვრებამ", – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „დოლარს ხომ არ დაგვიხურდავებთ"



„დოლარს ხომ არ დაგვიხურდავებთ", „სად არის უფასო ფული, სად არის გაზრდილი პენსია", – ამ შეძახილებით შეხვდნენ „ძველ თბილისთან" შეკრებილი აქციის მონაწილეები სასტუმროდან გამოსულ ზვიად ძიძიგურს.

უმრავლესობის წევრმა ტერიტორია უკომენტაროდ დატოვა. აქციაზე შეკრებილები ლარის გაუფასურებას ადა საკვებ პროდუქტებზე ფასის მატებას აპროტესტებდნენ. აქციაზე სიტუაციას პოლიცია აკონტროლებდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ევროპასა და ამერიკას არ ვუნდივართ"




არქიმანდრიტი ანთიმოზი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე წერს, რომ ამერიკასა და ევროპას არ ვუნდივართ.

„რა გახდა 4-მილიონიანი საქართველოს ფეხზე დაყენება?" – სვამს კითხვას არქიმანდრიტი და საკუთარ მოსაზრებას თურქეთის მაგალითზე „ამყარებს".

მისი განცხადებით, ამერიკა-ევროპამ, გაუბედურებული 60-მილიონიანი თურქეთი 5 წელიწადში ფეხზე დააყენა, ქართველები კი ან არ ვუნდივართ ან მშიერი ვუნდივართ. (ნიუპოსტი)

## „საქართველო-უკრაინის ურთიერთობა უფრო მეტია, ვიდრე ერთი თუ ორი მინისტრის დანიშვნა"



უკრაინაში, ალექსანდრე კვიტაშვილის ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრმაც შეაფასა.

„ყველას ვთხოვდი, რომ არ ატეხონ აჟიოტაჟი ამ თემასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ საქართველო-უკრაინის ურთიერთობა, ამ ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა, განსაკუთრებით რეგიონში არსებული ახალი გამოწვევების ფონზე უფრო მეტია, ვიდრე ერთი თუ ორი მინისტრის დანიშვნა", – განაცხადა ბერუჩაშვილმა. (ნიუპოსტი)

# რა პრინციპით მიიღებენ სოციალურად დაუცველები დახმარებას?

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ზურაბ ჭიაბერაშვილი სოციალურად დაუცველების აღწერის ახალ მეთოდოლოგიას აკრიტიკებს.

„ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტზე წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ახალი მეთოდოლოგიით ფულად დახმარებას 141 831 ოჯახის ნაცვლად 106 000 ოჯახი მიიღებს. ამ ოჯახებიდანაც ყველა ვეღარ მიიღებს დახმარების იმავე ოდენობას, რასაც ადრე იღებდა. სულზე საშუალო 52 ლარის ნაცვლად, ზოგიერთი ოჯახი სულზე 40 ან 30 ლარს მიიღებს.

იმის გამო, რომ ზედიზედ მეორედ ბიუჯეტს ვერ ასრულებს, ბიძინა ივანიშვილის მთავრობა ცდილობს, ფული ყველაზე გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე დაზოგოს. სერგეენკოს რეფორმით, სოციალური დახმარება მარტოხელა პენსიონერსა და ცალკე მცხოვრებ პენსიონერ ცოლ-ქმარს შეუწყდება".

„ალია" დაინტერესდა, რა საფუძველზე დაყრდნობით აკეთებდა აღნიშნულ განცხადებას ზურაბ ჭიაბერაშვილი? მან ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა და შემდეგ „ესემეს" შეტყობინება გავუგზავნეთ: „ბატონო ზურაბ, თქვენს განცხადებას გავეცანით, კითხვები გვაქვს", თუმცა, არც ამის შემდეგ გვიპასუხა.

**შესაბამისად, საკითხში გასარკვევად, ალია" სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს, გაიოზ თალაკვაძეს დაუკავშირდა:**



**— ბატონო გაიოზ, ჭიაბერაშვილის განცხადებით, ახალი მეთოდოლოგიით ფულად დახმარებას 141 831 ოჯახის ნაცვლად 106 000 ოჯახი მიიღებს. რა ბედი ეწია იმ 35 831 ოჯახს, გამდიდრდნენ და პროგრამიდან ამოიღეთ, თუ რაშია საქმე?**

– არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც სოციალურ დახმარებას მიიღებენ, კი არ მცირდება, არამედ იზრდება 40 ათასით. რა მნიშვნელობა აქვს, ოჯახებს რამდენ მოსახლედ დავყოფთ?! ამას არ აქვს მნიშვნელობა, 460 ათასია ბენეფიციარი და ეს კიდევ უფრო გაიზრდება. დაახლოებით 500 ათასამდე. 460 ათას ადამიანს 100 ათას ოჯახად დავყოფთ, თუ მეტად, ან ნაკლებად, რა მნიშვნელობა აქვს?! რეალურად 460 ადამიანი მიიღებს სოციალურ დახმარებას.

**— მისივე განცხადებით, ამ ოჯახებიდანაც ყველა ვეღარ მიიღებს დახმარების იმავე ოდენობას, რასაც ადრე იღებდა. სულზე საშუალო 52 ლარის ნაცვლად, ზოგიერთი ოჯახი სულზე 40 ან 30 ლარს მიიღებსო. არც ეს შეესაბამება სიმართლეს?**

– დღეს სახეზე გვაქვს ოჯახების ხელოვნური დაყოფა. რაც ხდება შემდეგი მიზეზით: ოჯახის უფროსი წევრი იღებს 52 ლარს, ხოლო დანარჩენები ნაკლებს – 48 ლარს და ა.შ. მაგალითისთვის, თუ სამსულიანი ოჯახია, აქვთ სტიმული, რომ სამ ოჯახად დარეგისტრირდნენ და სამივემ მიიღოს 60-60 ლარი. მომავალი მეთოდოლოგიის მიხედვით, ოჯახის ყველა წევრი მიიღებს ერთსა და იმავე თანხას, 60-60 ლარს, ანუ აღარ იქნება საჭირო ხელოვნური დაყოფა.. ესაა მარტივი არითმეტიკა და ამის გაგება თუ არ უნდა „ნაციონალურ მოძრაობას", სხვა რამეა.

**— რა ბედი ელით მარტოხელა პენსიონერს და ცალკე მცხოვრებ პენსიონერ ცოლ-ქმარს? ჭიაბერაშვილი ამბობს, რომ მათ სოციალური დახმარება შეუწყდებათ...**

– არა, სრული უაზრობაა, ფაქტები აქვთ გაყალბებული, რაც ჩვენ წარმოვადგინეთ პრეზენტაციაზე, გაუყალბებია ეგ აბსოლუტურად. კი არ მცირდება რამე, პირიქით, იზრდება. დღეს თუ 57 ათასზე ქვემოთ მყოფი იღებს ბენეფიტს, მომავალი მეთოდოლოგიით 65 ათასამდე ადის ეს რიცხვი. რამდენიმე ზღვარი დაწესდება. პირველი ზღვარი იქნება 30 ათასი, შემდეგ – 57 ათასი, მერე – 60 ათასი და ასევე 65 ათასიც. დღეს, ვისი ქულაც 65 ათასია, არანაირ ბენეფიტს არ იღებს და ხვალ მიიღებს, იმაზე ნაკლებს კი მიიღებს, ვიდრე 57 ათასზე ქვემოთ მყოფი, მაგრამ საერთოდ არაფერს იღებდა და ხვალ ხომ მიიღებს?!

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# როგორ ხორციელდება ინტერნეტთვალთვალი და როგორ დავიცვათ თავი

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი, ნინო ლომჯარია აცხადებს, საქართველოში სატელეფონო მოსმენებზე გაცილებით რთული ვითარებაა ინტერნეტმიყურადების თვალსაზრისით: „მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს კი არ უსმენენ, არამედ უსმენენ მეგობრებს. მათ იციან, ვინ ვის როგორ ელაპარაკება. ფაქტობრივად, შეუზღუდავად და შეუფერხებლად კითხულობენ, ვინ რომელ საიტზე შევდივართ, რა „მეილს“ და ვის ვუგზავნით, რით ვინტერესდებით. მე ვფიქრობ, რომ ტელეფონზე მეტად საქართველოში ინტერნეტთვალთვალია სახიფათო. აქ რეგულაციები თითქმის არ არსებობს და არც კონტროლის მექანიზმებია“.

**ვინ და როგორ შეიძლება გვისმენდეს ინტერნეტ-სივრცეში? რა როლს ასრულებს ამ შემთხვევაში ხელისუფლება და როგორ შეიძლება დააშანტაჟონ ინტერნეტმომხმარებლები?**

**„ალიას“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიდეო და აუდიომოსმენების სამმართველოს ყოფილი უფროსი, ბესო ხითარიშვილი ესაუბრა:**

– ჩემი აზრით, ეს არასამთავრობოები ცდილობენ, რაც შეიძლება გაამწვავონ სიტუაცია და წარმოჩინონ, თითქოს ხდება რაღაც საშინელება. ყველაფრის გაკონტროლებას და ყველას მოსმენას სჭირდება წარმოუდგენელი რესურსი, ყველას გაკონტროლება შეუძლებელია.

**— არა, აქ საუბარია არა ყველას გაკონტროლებაზე, არამედ ნებისმიერის მოსმენაზე. ანუ მე მაქვს ასეთი კითხვა: ტექნიკურად რა საშუალებები არსებობს, რომ შემოვიდნენ და წაიღონ ყველაფერი ჩემი ელფოსტიდან, „ფეისბუკის“ გვერდიდან, „სკაიპიდან“ და ასე შემდეგ.**

– კი, საამისო ტექნიკური საშუალება არსებობს, ნებისმიერ ძლიერ ჰაკერს შეუძლია, შემოვიდეს შენს ინტერნეტსივრცეში, გახსნას შენი ფოსტაც, გვერდებიც და წაიკითხოს. აქ მთავარი ის არის, რომ ამის გაკონტროლება სახელმწიფოსაც უჭირს. შევიდეთ რუსულ საიტებზე და იქ წერია, როგორ შეიძლება ამ ყველაფრის გაკეთება. არსებობს სპეციალური პროგრამები, არ არის პრობლემა. ეს გახლავთ არა სახელმწიფოს, არამედ ინტერნეტ-პროვაიდერების პრობლემა, მათ უნდა დააზღვიონ თავიანთი მომხმარებლები. ყველა მხრიდანაც.

**— ესე იგი, ინტერნეტსივრცის გამოყენება სათავისოდ სახელმწიფოსაც შეუძლია, მაგრამ ვინ საიდან შემოგვიძვრება, არ ვიცით, ხომ?**

– კი, მაგალითად ვასახელებ შვეიცარიის ბანკს, თუ ეს სტრუქტურა ვერ იცავს 100 პროცენტით თავს, როგორ შეიძლება, საქართველოს ხელისუფლებამ გააკონტროლოს? ლომჯარიასა და ყველას შეუძლია, თითი გაიშვიროს ხელისუფლებისკენ, მაგრამ მათ იციან, რომ რეალური პრობლემა სხვა რამეში მდგომარეობს. ჩემი აზრით, ამ თემით ესენი მხოლოდ ყურადღების მიქცევას ცდილობენ. ჩვენ არ ვართ ისეთი დონის ქვეყანა, რომ ვაკონტროლოთ ყველა სპეციალისტი და შემდეგ მთელი ინტერნეტსივრცე, უბრალოდ, საამისო რესურსი არ არსებობს. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროსაც კი, როცა მართლა ძალიან იყო ეს სფერო „განვითარებული“, ადამიანებს აშინებდნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ აკონტროლებდნენ.

**— ბესო, პროგრამისტი, რომელიც წერს ამა თუ იმ პროგრამას, მას არ შეიძლება ჰქონდეს საწინააღმდეგო პროგრამაც. როდესაც იგონებენ ვირუსს, ასევე იგონებენ ანტივირუსს. რამე ისეთი** ასე იქნება. მაინტერესებს, ლომჯარია აქამდე სად იყო, თუნდაც 3 წლის წინათ რატომ არ ლაპარაკობდა იგივეს?

**— რატომ არ ლაპარაკობდა?**

– იმიტომ, რომ მაშინ უარესი ხდებოდა და რაღაცის გამო თვალებს ხუჭავდა. ახლა ცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი ტრაგიზმი აჩვენონ საზოგადოებას და ხალხი შოკში ჩააგდონ. რეალურად ეს არის საზოგადოებაში დაძაბულობის მუხტის შეტანის მცდელობა, შენც იცი, მეც ვიცი და ლომჯარიამაც იცის, რომ თუკი კონკრეტული ადამიანის მოსმენა უნდათ, სასამართლოს ნებართვასაც გააკეთებენ, რაში სჭირდება ხელისუფლებას მეცხვარის მოსმენა, როცა მისი შვილი ელფოსტით სარგებლობს?

**— დამცავი მექანიზმი არ არსებობს? ნახევარი საქართველო უცხოეთშია და ინტერნეტით აქვს კავშირი ოჯახთან თუ ნაცნობ-მეგობრებთან.**

– ამას წინათ მოხდა ასეთი ფაქტი: ბალტიის ზღვაში ორი სხვადასხვა ქვეყნის გემის კაპიტნებს მოუსმინა რუსმა ჰაკერმა. ეს იყო პირადი საუბარი ერთი გემიდან მეორე გემზე, სადაც ყველაფერი კოდირებული და დაშიფრულია. ესეც კი გახსნა კერძო პიროვნებამ. დედამიწის ზურგზე რაც პროვაიდერი კერძო სტრუქტურაა. ჩვენი რა მოსატანია, როცა თავის დროზე „ეფბიაის“ საიტებიც კი გატეხეს? ჰაკერები შევიდნენ და ინფორმაცია გაიტანეს. აღარაფერს ვამბობ ბანკებზე, შვეიცარიის ბანკის ბაზაში შეაღწიეს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დაცულია ტექნოლოგიურად. მე მგონი, ნინო ლომჯარიამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი რამ შეუძლია, თუკი საქართველოში ასეთი დონის ჰაკერები არსებობენ, ისინი გააკონტროლოს. თუმცა ხშირად ესეც შეუძლებელია, ზოგიერთი შეიძლება ისე საქმიანობდეს, საერთოდ ვერავინ მიხვდეს. კი, ბატონო, რასაც ლომჯარია ამბობს, ეს არის ძალიან ცუდი, მაგრამ საკითხს უნდა შევხედოთ მეორე

**არსებობს, რაც ნაწილობრივ მაინც დაგვიცავს?**

– მაგალითად, მე ელფოსტით ვინმეს ვუგზავნი წერილს, ან ველაპარაკები „სკაიპით“, კონკრეტულ მომენტში შემიძლია ვისარგებლო სხვა ელფოსტით, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი იციან. როდესაც ასეთი კამპანია მიდის, თითქოს ყველას გვაკონტროლებენ, ეს უფრო შიშის დანერგვაა, ვიდრე 100-პროცენტიანი რეალობა. ჩემს ელფოსტაში შემოღწევას ყველა შემთხვევაში სჭირდება გარკვეული დრო, აქ მე ვქმნი ახალს, ვეკონტაქტები ვისაც მინდა და შემდეგ უცებ ყველაფერს ვშლი. ახლა ლაპარაკობენ, კარგ კანონს მივიღებთ და გვეშველებაო. რაც არ უნდა კარგი კანონი მიიღო, ის ნაწილობრივ მაინც ქაღალდზე რჩება, თუ სპეცსამსახურს დასჭირდება, ისედაც გააკეთებს თავის საქმეს. ასე იყო და კი ადამიანის ხელითაა შექმნილი, ყველაფრის გახსნა შეიძლება ადამიანის ხელითვე. ეს მოხდება კანონდარღვევით, მეკობრული წესით თუ კანონიერად, არა აქვს მნიშვნელობა. ამ ქვეყანაზე დაუცველი არავინ არის, მაგრამ რამდენად მიზანმიმართულად ხდები დაკვირვების ობიექტი, ეს სხვა საკითხია.

**— როდესაც შენ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდი, იყო თუ არა სამსახური ან სამმართველო, რომელიც კონკრეტულად ინტერნეტსივრცეს აკონტროლებდა?**

– კი, იყვნენ პროგრამისტები, რომლებსაც შეეძლოთ რაღაცების გაკეთება. აი, ის პატარა ბიჭი, რომელიც 2012 წელს დაიჭირეს, სწორედ ეგ იყო მაგ სამმართველოს უფროსი. 16 წლის ბიჭი დანიშნეს ამხელა თანამდებობაზე, მის სამსახურს ერქვა „ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო“. მე ბიზნესიც მიკეთებია და სახელმწიფო სამსახურშიც ვიყავი, ყველას ვურჩევ, რომ მნიშვნელოვანი პირადი საქმეები მაინც არ ანდოს ინტერნეტსა და ტელეფონს.

**— ამბობენ, რომ „ვაიბერი“ ადრე არ ისმინებოდა და ახლა უკვე ესეც ისმინება. ამ მხრივ, რა ხდება?**

– რა არის „ვაიბერი“? ეს არის ორ ტელეფონს შორის არსებული ინტერნეტსივრცე, ანუ შენ ტელეფონით ლაპარაკობ არა მობილური ოპერატორის საშუალებით, არამედ ინტერნეტის საშუალებით. ეს იყო შემოვლითი გზა. სანამ ამ ყველაფერს მასობრივი ხასიათი მიეცემოდა, იყო აზრი, რომ არ უსმენდნენ, მაგრამ, ბუნებრივია, ამ მხრივაც შექმნეს მოსასმენი პროგრამა. იგივე „ფეისბუკია“ თუ „ადნაკლასნიკები“, ეს არ უნდა გამოიყენო სერიოზული ინფორმაციის გაცვლისთვის, ეს არის გასართობი საშუალებები. ვიყოთ ფრთხილად და დავუკვირდეთ, სად რას ვწერთ და რას ვაკეთებთ, ეს არის ყველაზე მარტივი გამოსავალი.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 2014 წლის მსოფლიოს კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველო 50-ე ადგილზეა

საქართველომ კორუფციის აღქმის ინდექსში 2012 წელს 52 ქულა მიიღო (51-ე ადგილი), 2013 წელს 49 ქულა (55-ე ადგილი), ხოლო 2014 წელს – კვლავ 52 ქულა (50-ე ადგილი). ვინაიდან, კორუფციის აღქმის ინდექსის მეთოდოლოგიის თანახმად, ქვეყანაში კორუფციის აღქმის დონის მნიშვნელოვან ცვლილებაზე საუბარი მხოლოდ მისი მაჩვენებლის 4 ან მეტი ქულით მატების ან კლების შემთხვევაში შეიძლება, ეს შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში კორუფციის აღქმის დონე ბოლო სამი წლის მანძილზე სტაბილურია და ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი ან უკუსვლა არ მომხდარა.

2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის თანახმად, კორუფციის აღქმის მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დაბალია დანიაში (92 ქულა), ახალ ზელანდიასა (91 ქულა) და ფინეთში (89 ქულა), კორუფციის აღქმის ყველაზე მაღალი დონე კი ჩრდილოეთ კორეასა და სომალიში დაფიქსირდა (8 ქულა).

საქართველოს მაჩვენებელი (52 ქულა და 50-ე ადგილი) საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 19 ქვეყანას შორის. ამავე დროს, საქართველოს უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე ევროკავშირის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოს: ჩეხეთს, სლოვაკეთს, ხორვატიას, ბულგარეთს, საბერძნეთს, იტალიასა და რუმინეთს. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს შორის საქართველოზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ ესტონეთს, პოლონეთს, ლიტვას, სლოვენიას, ლატვიას და უნგრეთს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოხუცი ქალბატონი მეზობლებმა სიკვდილს გადაარჩინეს



ხანძრის შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნაღობილევში ორსართულიანი სახლი დაიწვა. შემთხვევისას სახლში მოხუცი ქალბატონი იმყოფებოდა, რომელიც ალმოკიდებული შენობიდან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის მისვლამდე, მეზობლებმა გამოიყვანეს.

სახანძრო სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, ხანძრის გაჩენის მიზეზი საკვამური გახდა.

„მეორე სართული მთლიანად ხის იყო და ცეცხლი სწრაფად მოედო შენობას. სანამ ჩვენ ადგილზე მივედით, სახლი მთლიანად დამწვარი დაგვხვდა. ოჯახის წევრები მანდარინის საკრეფად იყვნენ გასულები და სახლში მხოლოდ მოხუცი ქალბატონი იყო, რომლის გამოყვანაც მეზობლებმა შეძლეს“. (ნიუპოსტი)

## „2014 წლის ბიუჯეტის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება“



ფინანსთა მინისტრი არ ეთანხმება „ნაციონალური მოძრაობის“ მოსაზრებას, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაირღვევა.

„წლევანდელი ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი გადაჭარბებით შესრულდება და 100 პროცენტზე მეტი იქნება. მნიშვნელოვანია, რომ შესრულდება ხარჯების ნაწილიც და რეალურად შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლის ბიუჯეტის შესრულებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება“, – განაცხადა ხადურმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზურაბ ჯაფარიძის ინფორმაციით, 2014 წლის ბიუჯეტი შემოსულობებისა და გადასახდელების ნაწილში მნიშვნელოვნად გაირღვევა. (ნიუპოსტი)




# რომელ ტელევიზიებს გამოუცხადებენ ბოიკოტს უფლებადამცველები და რა მიზეზით?

„უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე", ნიკოლოზ მჟავანაძე „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე განცხადებას აკეთებს: „თქვე დალოცვილებო, მხოლოდ ერთ ლამაზ ქალს რომ უყურო 24 საათი, ის მოგბეზრდება და რა უბედურებაა, მთელი ცხოვრება რომ გვტენით რამდენიმე ადამიანს და სხვას არ გინდათ, დრო დაუთმოთ, სექტა ხართ თუ რა... მერე იტყვიან, მედიის მიმართ რატომაა აგრესიაო. ჩემი პოზიცია მხოლოდ ამ ნაცტელევიზიების ხელმძღვანელობას ეხება და არა ჟურნალისტებს, რადგან სარედაქციო პოლიტიკას, გასაგებია, ვინ წარმართავს".

**რამ გააღიზიანა უფლებადამცველი? რატომ არ იწვევენ ნეიტრალური პოზიციის მქონე ადამიანებს ეთერში? რომელ ტელევიზიებს გამოუცხადებენ ბოიკოტს უფლებადამცველები.**

**„ალია" კომენტარისთვის ნიკოლოზ მჟავანაძეს დაუკავშირდა.**

– ეს მარტო ჩვენი გაღიზიანება არ არის, ეს მთლიანად მთელი საზოგადოების გაღიზიანებაა, რადგანაც მთელი ცხრა წელი ჩვენ რაც ვნახეთ მედიაში, ეს იყო ქართველი ხალხის დაცინვა. ამ პერიოდის მანძილზე ჩვენ რეალურად გვქონდა დიქტატურა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა და ტელევიზიის საშუალებით ვხედავდით, რომ ქვეყანაში იყო ოაზისი და ვითომ ყველაფერი წესრიგში იყო. თავის დროზე ერთადერთი „ობიექტივი" იყო, რომელიც მართალ სიტყვას ამბობდა, „იმედის" ამბავი ყველას გვახსოვს და „მაესტრო" ხან ერთი მფლობელის ხელში იყო, ხან მეორეში და რაღაც დოზით „მაესტროდანაც" იყო ეს სიმართლე. დღეს კი რაც ხდება, ეს არის ყოვლად ამაზრზენი: „ნაციონალური მოძრაობა" დღეს არ არის ქვეყნის სათავეში და, მიუხედავად ამისა, „ნაცების" სატელიტები, თავად „ნაციონალები", ჩართავ და დღე და ღამე სულ ეკრანზე არ არიან? ვერ გავიგე და ამიხსენით: ლომჯარია, გიგაური და კოჟორიძე, ლენინი, მარქსი და ენგელსია? სამი ლიდერი რომ ჰყავდა პროლეტარიატს, ახლა ეს სამეული სულ ეკრანზე უნდა იყოს და სხვას აზრის გამოთქმის საშუალება არავის არ უნდა ჰქონდეს? მოსმენებზე მიდის საუბრები, კონსტიტუციაში ცვლილებებზე, ბევრ იურისტს აქვს სურვილი, რომ სამართლებრივ საკითხებზე ვისაუბროთ და ეს საშუალება წართმეული გვაქვს. ამათი ნება რომ იყოს, მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ ხელისუფლებასაც არ ჩართავდნენ.

**— რომელ ტელევიზიებზე საუბრობთ ამჟამად?**

– „რუსთავზე", „იმედზე", „მაესტროზე", რომელზე არა? ექვსი წელია, სამოქალაქო სექტორში ვარ, რასაც ვაკვირდები, სააკაშვილის დროს არ იყო ასეთი შეზღუდვა და მარტო მე მაქვს მსგავსი პრობლემები? ყველას, ვინც კი ზემოხსენებულებისგან განსხვავებულად აზროვნებს და ფიქრობს, არც ერთისთვის არ არის პირდაპირი ეთერი დათმობილი. ჩვენ გვყავს საკმაოდ ძლიერი იურისტები, ნამდვილად პროფესიონალები და მათთვის კარი რატომ იხურება და ამ დროს სამართლებრივ საკითხებზე საუბრობენ მედიაექსპერტები. ვერ გავიგე, ტულუში რატომ უნდა იყოს ყველგან?

**— რომელიმე კონკრეტულ გადაცემაში გსურდათ მისვლა აზრის გამოსახატად და არ მიგიწვიეს?**

– კონკრეტული გადაცემები კი არა, საერთოდ, ეკრანზე გამოჩენა გვეკრძალება და 40-წამიან პრესკონფერენციებზეა უკვე საუბარი, იმასაც აღარ აშუქებენ და ეს პრობლემა, ვიმეორებ, მარტო მე კი არა, სხვასაც აქვს უკვე, მარტო ჩემზე ნუ მიიღებთ ამ საყვედურს, ყველა ამ დღეში ვართ.

„ნაციონალების" მიერ შექმნილმა მედიასაშუალებებმა დღეს მოწინავე პოზიციები დაიკავეს. ეს ის ტელევიზიებია, რომლებიც თავის დროზე „აპრავებდნენ" სააკაშვილის პოლიტიკას და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჯალათებზე ნაკლები როლი მიუძღვით ტელევიზიებს, რაც მაშინ ციხეებში ხდებოდა, ძალიან შემცდარან. მაშინ ძალიან მცირე რაოდენობის, ტელევიზიების გარდა, ყველა ლამაზ სიტუაციებს ხატავდა.

**— პირადი საუბარი თუ გქონიათ ტელევიზიების პოლიტიკის წარმმართველ ხელმძღვანელებთან?**

– მქონია, მაგრამ ვერ შევვარდები პირდაპირ ეთერში და ვერ მოვითხოვ სიტყვის თქმას. მიკითხავს ხელმძღვანელებისთვის, რატომ ხდება ასე, სხვასაც მისცენ საშუალება აზრის გამოთქმის. წარმოიდგინეთ, ტოქშოუ იმართება და შეიძლება ეკრანზე მხოლოდ ერთი პოზიციის ხალხი იყოს: ან „ნაციონალები", ან მათი სატელიტი ხალხი, ან ხელისუფლებიდან ერთი და იგივე ხალხი? სხვა აზრის ადგილი სტუდიაში არ არის და მე ერთ რამეს ვპირდები ამ ტელევიზიებს, რომ ეს ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

**— და რას აპირებთ?**

– რას და საზოგადოება ამას არ მოითმენს. ვიმეორებ, არავინ შევარდება ტელევიზიებში, მაგრამ მოვიფიქრებთ რამეს, რომ ამას ბოლო მოეღოს, ბოლოს და ბოლოს, ამ ტელევიზიებს ბოიკოტს გამოვუცხადებთ, ასე არ შეიძლება. ანუ, ერთ დღესაც ნამდვილ ბოიკოტს გამოვუცხადებთ ამ ტელევიზიებს, რომ არავინ დაჯდეს მათ ეთერში, რადგანაც ის 30 წამის დათმობა ჩვენთვის მასხარაობაა, თუ რას ნიშნავს? მე იმ ხელისუფლებას რა ვუთხარი კიდევ, რომელსაც ჯოჯოხეთის მოწყობას უპირებს ტელევიზია და მიდის და მის ეთერში ჯდება. მითხარით, ლოგიკა სად არის?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

# რა დოკუმენტებს გადაუგზავნის ნდობის ჯგუფი პრემიერს გრიფ „საიდუმლოს" მოსახსნელად?



პარლამენტის ნდობის ჯგუფის წევრები აუდიტის სამსახურის მიერ გადაგზავნილ გარკვეულ დოკუმენტებზე გრიფ „საიდუმლოს" მოხსნის აუცილებლობაზე საუბრობენ და უახლოეს მომავალში პრემიერ-მინისტრს ამ თხოვნით მიმართავენ. საუბარია შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, ასევე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 2011-2012 წლებში განხორციელებულ საიდუმლო შესყიდვების ამსახველ დოკუმენტებზე, რომლებიც გრიფ „საიდუმლოს" არ საჭიროებდა.

**„ალიას" ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი, ირაკლი სესიაშვილი ესაუბრა:**

**— რა ნაწილის განსაიდუმლოებას ითხოვთ, კონკრეტულად რა შესყიდვებზეა საუბარი?**

– „ნდობის ჯგუფი" არის ის ჯგუფი, რომელიც განიხილავს საკითხებს, მაგრამ კითხვებზე პასუხს არ იძლევა. რამდენიმე საიდუმლო შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი ჯგუფი მიიჩნევს, რომ განხორციელდა რამდენიმე შესყიდვა, რომელსაც არ უნდა დადებოდა გრიფი, რადგან არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას. სწორედ ამიტომ ჩვენი ბერკეტი და უფლებამოსილებაა, მიმართოს პრემიერს იმ შემთხვევაში, თუკი ჩათვლის, რომ ინფორმაციისა თუ საკითხის გასაიდუმლოება არ უნდა მომხდარიყო, მოვითხოვთ მის განსაიდუმლოებას, რადგან გვაქვს ამის უფლება.

**— ბოლო დროს სალაპარაკო თემა ხდება ხოლმე გრიფით „საიდუმლო" დოკუმენტები. ხომ არ სჯობია, რომ ამ მექანიზმს გადახედოთ?**

– დიახ, ვიფიქრეთ ამაზე და ერთი წლის წინათ შევქმენით კომისია. მოვამზადეთ სრულიად ახალი კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. პირველი მოსმენით მივიღეთ, განვიხილავთ მეორე მოსმენით უახლოეს ხანებში და ასეთი რისკები მნიშვნელოვნად შემცირდება.

**— ეს დოკუმენტაციის ის ნაწილი ხომ არ არის, საიდანაც სააკაშვილმა პირადი მოხმარებისთვის 5 მილიონი გახარჯა?**

– ყოველგვარი კონკრეტიკისგან თავს შევიკავებთ, არა იმიტომ, რომ რამეს ვმალავთ, ჩვენი უფლებამოსილებიდან გამომდინარე არ გვაქვს ამის უფლება.

**— თუ მიაღწიეთ იმას, რომ პრემიერმა გრიფი მოხსნა, ისაუბრებთ ღიად?**

– თუ ასე მოხდება, საჯარო გახდება, დაიდება ასევე საჯაროდ, შეძლებთ ნახოთ და განხილვაც შესაძლებელია.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ლარის კურსის რყევაზე საუბარი ჩემს კომპეტენციას სცდება"



ლარის კურსის რყევაზე ფინანსთა სამინისტრო „თვალს ხუჭავს". ფინანსთა მინისტრისადმი დასმულ კითხვას, ხომ არ არის ლარის კურსის რყევაში ეროვნული ბანკის დანაშაული, ხადური პასუხობს, რომ სხვა უწყებების საქმიანობას ვერ შეაფასებს.

„მე ერთი შემიძლია გითხრათ, ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს მე ვერ გავცდები. გაცვლით კურსზე ბიუჯეტის ზეგავლენა არის ნულის ტოლი", – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ლარის კურსი ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ასახავს"



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ლარის კურსის რყევას ეხმაურება.

„დარწმუნებული ვარ, ხარჯების დინამიკა და კომუნიკაცია ისე იქნება წარმართული, რომ მაღალ რყევებს თავიდან ავიცილებთ. ზოგადად კურსის მერყეობა შოკების დაბალანსების ფუნქციას ასრულებს. ჩვენ 2013 წელს პრაქტიკულად ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ მონეტარული სტაბილურობა შენარჩუნებულიყო და გაცვლითი კურსის დიდი რყევები არ ყოფილიყო. ეს არ იყო მცირე ინტერვენცია, ეს იყო მნიშვნელოვანი ინტერვენცია, მაგრამ ჩვენ არ ვართ მდიდარი ქვეყანა და ასეთი ინტერვენციების განხორციელების საშუალება სულ არ გვაქვს. რესურსი ფიზიკურად არ გაგვაჩნია. არაა სასურველი, რომ რეზერვები არათანაბარი ხარჯების გასანაიტრალებლად იხარჯებოდეს.

ეროვნული ბანკის მიზანია, რომ მინიმალურად მოახდინოს ინტერვენციები ბაზარზე, რაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და გრძელვადიანი სტაბილურობისთვის. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავთმოთ ის მონეტარული და ფისკალური დისციპლინა, რომელსაც მივაღწიეთ. მონეტარული დისციპლინა სახეზეა. ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში მართვადია. იმის გამო, რომ სხვა ტიპის პრობლემებია, ასეთი დისციპლინის დათმობა არასწორი იქნება და არა მგონია, ჩვენ ეს გავაკეთოთ", – განაცხადა ქადაგიძემ ჟურნალ „Business Time Georgia"-სთან ინტერვიუში. (ნიუპოსტი)



# რატომ იხარჯება ნატოში ვიზიტებზე ფული, თუკი არ გვიღებენ?

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი ნატოს მინისტერიალის ფარგლებში ორმხრივ შეხვედრებს მართავს. ის უკვე შეხვდა ბულგარეთის, ბელგიის, პორტუგალიის, ლიტვის, ისლანდიისა და სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს.**

**რისთვის დადის ქართული დელეგაცია ნატოს ღონისძიებებზე, რატომ იხარჯება ბიუჯეტის თანხები, როცა გარკვევით გვითხრეს, რომ ნატოში ჩვენს გაწევრიანებაზე საუბარიც კი არ არის?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

– საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩვეულებრივი ბიუროკრატიული უწყებაა და მინისტრი თუ არსად არ ივლის, იტყვიან, საქმეს არ აკეთებსო. თუ ძალიან ბევრს ივლის, იტყვიან, ტურისტიაო. ამიტომაცაა ორ ცეცხლს შუა ყოველთვის საგარეო საქმეთა მინისტრი. ნეტა ვიზიტებით ხდებოდეს ნატოში მიღება, მაშინ ვერავინ შეგვასწრებდა ნატოში, ვერავინ! განცხადებებით, მიტინგებით, ტელეშოუებით, მკერდში მჯიღის ცემით, დედის ფიცილით, ხატსა და ბიბლიაზე დაფიცებით რომ იღებდნენ ნატოში, ჩვენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პირველი წევრები ვიქნებოდით, მაგრამ არ ხდება ასე, არა! ჩვენ ნატოში, განსაჭვრეტ მომავალში, სანამ რუსეთი რუსეთია და ევროპა ევროპაა, არავინ არ მიგვიღებს. რეალური საქმე ვაკეთოთ, ეს არარეალურია. ან რა საჭიროა 10-20-კაციანი დელეგაციები, არ მესმის, რატომ არ შეიძლება 4-5 კაცი წავიდეს? როგორც ჟენევაში ხდება, 2-3 თვეში ერთხელ მიდის საწყალი ზურაბ აბაშიძე, მდივანსაც არ აყოლებენ, მარტო ჩავა, პრაღაში რჩება ერთი დღე და ჩამოდის უკან.

თუ ჩვენ გვინდა ნატოს წევრი ქვეყანა გავხდეთ, მაშინ, უნდა ვთქვათ, რომ ტერიტორიებზე არ გვაქვს არანაირი დავა, მათ შორის არც რუსეთთან, მაგრამ ჩვენ ოფიციალურად ვამბობთ, რომ ჩვენი ტერიტორია აქვს ოკუპირებული რუსეთს და მის დაბრუნებას მოვითხოვთ. ისე, ერთიცაა, სანამ ნატომდე მივალთ, იმდენი წინაღობაა, რომ არავინ არ თვლის თავს ვალდებულად, ეს საკითხი გაიხსენონ. ეს ისეთი საკითხია, მხოლოდ ამის გამო შეიძლება დაიბლოკოს საქართველოს მიღების საკითხი. ამიტომ დიპლომატიურად, მორცხვად ამბობენ, რეფორმები, მერე რეფორმები, კიდევ რეფორმები... ეს კიდევ ჩვენთვის თავის მოსატყუებლად ადვილია.

**— და თავს რატომ ვიტყუებთ, თუ ვიცით, რომ უშედეგოა, ან ფული რატომ იყრება უშედეგო ვიზიტებში?**

– თავს იმიტომ ვიტყუებთ, რომ ქვეყნის კურსი იყო ასეთი, 9 წლის ინერციით მივდივართ უკვე. რატომ ვიტყუებთო, რომ მეკითხებით, აბა, ერთი მიპასუხოს ვინმემ, რატომ დავდივართ ჟენევაში და რატომ გავდივართ კონსულტაციებს, უკვე რომ „გადავუჯოკრეთ“ მექსიკურ და თურქულ სერიალებს შეხვედრების სერიებით. ჯაბა იოსელიანის დროს დაწყებული ეს ჟენევის შეხვედრები დღემდე გრძელდება, მაგრამ ერთი სანტიმეტრით ვერ წავიწიეთ წინ, თუ ისაა წაწევა, სამინისტრო რომ შევქმენით ცარიელ ადგილზე, რაღაც ბუტაფორია სამინისტრო, მერე შერიგებისა და ჩახუტების სამინისტრო რომ დავარქვით, მაგრამ ვის შევურიგდით და ვის ჩავეხუტეთ, ერთი დამანახეთ?! პაატა ზაქარეიშვილი თუ „ჩაეხუტა“ რომელიმე აფხაზ კოლეგას არ ვიცი, მაგრამ სახელმწიფო ინტერესებზე არაფერი ასახულა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ვერ ვბედავთ, დავაბალანსოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა. იყოს გენერალური ხაზი პროდასავლური, პრიორიტეტად უნდა იყოს ევროკავშირი და არა ნატო და რუსეთთანაც შევეცადოთ ურთიერთობის დალაგებას.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „უკრაინის ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს“



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად ალექსანდრე კვიტაშვილის დანიშვნას ეხმაურება:

„ძალიან ვწუხვარ, რომ უკრაინის ხელისუფლება ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს. ეს ჩემთვის წარმოუდგენელიც იყო. ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ უკრაინის ხელისუფლება უფრო საღ და გონიერ გადაწყვეტილებას მიიღებს. აქ ელემენტარულად სამ რამეზე შეიძლება ვიფიქროთ: პირველი, მათ არანაირი ანალიზი არ გაუკეთებიათ იმისა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში წლების განმავლობაში. მეორე, ძალიან ვწუხვარ და ძალიან მიკვირს, რომ უკრაინაში, ამ დიდებულ, ამ ნიჭიერი ხალხის ქვეყანაში უნდა მოიძებნებოდეს კადრები, ვინც სამთავრობო პოსტებს შეავსებდა და უკეთ გააკეთებდა საქმეს, ვიდრე ადამიანები, რომელიც ასე წარუმატებლები იყვნენ საკუთარ ქვეყანაში. მესამე, უკრაინის ხელისუფლება კარგად უნდა დაფიქრდეს, რომ მისმა ნაბიჯებმა ცოტა ჩრდილი არ მიაყენოს საქართველო-უკრაინის კარგ და მეგობრულ ურთიერთობებს“, – განაცხადა საგანელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ქრთამის აღების ფაქტზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ლევან გოგოჭური დააკავა.

დადგენილია, რომ ბრალდებულმა, ერთ-ერთ მოქალაქეს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 224 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების 1 ლარად გადაცემაში, დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 20 000 აშშ დოლარი გამოართვა.

დანაშაულებრივ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 11 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები გამოავლინა



თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 3 დეკემბერს, ღამით თბილისის მასშტაბით ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები გამოავლინა.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის, გეგი ნიჟარაძის ინფორმაციით, მორიგი ინსპექტირების დროს, ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა, ლილოს დასახლებაში ორი მიკროავტობუსი დააკავეს, რომელსაც უკანონოდ მოჭრილი 5 კუბური მეტრის ოდენობის წიფლის დაჭრილი მორები გადაჰქონდა. მიკროავტობუსები დააკავეს, ასევე, ლისის ტბის დასახლებასა და გლდანში. ჯამში, გასულ ღამეს ინსპექტირებისას ზედამხედველობის სამსახურმა 13 კუბური მეტრის ოდენობის უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღეს.

ავტომანქანის მძღოლები ადმინისტრაციული წესით – 500 ლარის ოდენობის ჯარიმით დაჯარიმდნენ, ხოლო უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე ჩამოერთვათ და ის თბილისის მუნიციპალიტეტებს გადაეცემა. (ინტერპრესნიუსი)

# რა არის გამზარდიასთვის მოსმენებზე მნიშვნელოვანი პრობლემები?

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, არჩილ გამზარდია მიიჩნევს, რომ არასამთავრობო სექტორის მხრიდან ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქტივობების დაგეგმვა გამართლებული არ არის:

„ვფიქრობ, ქვეყანაში ბევრად მეტი თემა არსებობდა, რაზეც არასამთავრობო სექტორს შეეძლო, მეტი მონდომება გამოეჩინა. ეს არ არის ყველაზე საოცარი თემა, რომელიც ზედაპირზე უნდა ტივტივებდეს. არასამთავრობო სექტორის მხრიდან ეს მიდგომები ცოტა ხელოვნურიცაა. ყველაზე რაციონალური იქნებოდა, არსებული მდგომარეობა მათ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიეღოთ, ხოლო დროთა განმავლობაში ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის მუშაობა გაგრძელდეს, რომ უკანონო მოსმენების შესაძლებლობების კიდევ უფრო ნაკლები რისკი იყოს“.

**„ალიას“ არჩილ გამზარდია ესაუბრა:**

**ბატონო არჩილ, როცა თქვით, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც არსებობს, რაზეც მათ ყურადღება არ გაამახვილესო, რა საკითხები იგულისხმეთ?**

– არასამთავრობო სექტორის მიზანი, როგორც წესი, იმ კონკრეტულ სეგმენტებზე მუშაობაა, რაშიც სახელმწიფო სექტორი ეფექტური ნაკლებადაა, მაგალითად, უფლებადამცველობითი სივრცე, პენიტენციარული სისტემა, ქალი პატიმრების მდგომარეობა, მოზარდები და არასრულწლოვნები, ამნისტირებული პატიმრების რეინტეგრაცია, შრომის უფლებები, დაქირავებულთა უფლებები, რეგიონული მიგრაციის მაღალი დონე და ა.შ. არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, მაგრამ საკითხები კრიტიკულია, ამ და სხვა არაერთ პრობლემაზე კიდევ მეტი ეფექტისა და შედეგის მიღწევა განსაკუთრებით შეუძლიათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დღეს ე.წ. ცნობადობით ხასიათდებიან. საზოგადოებაში პრობლემების შექმნის ნაცვლად მათ პრობლემების მოგვარებაში უფრო შეუძლიათ თანამონაწილეობა. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ ამ კამპანიებს ხშირად პოლიტიკური პარტიისთვის დამახასიათებელი ინტერესი უფრო აქვს, ვიდრე რეალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

**— რას გულისხმობთ?**

– ე.წ. მოსმენების თემას. კანონი, როგორი სახითაც იქნა ის მიღებული, ბევრად წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან გამოკვეთილია არაერთი ბარიერი, რომელიც უკანონო მოსმენების შესაძლებლობებს მინიმუმამდე დაიყვანს. თანაც, ეს ყველაფერი ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობისას ტოტალური მოსმენების შემდეგ, ისეთი რთული და საშიში გარე ფაქტორების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ამიტომ ვამბობ, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიდგომა ხელოვნური უფროა და საზოგადოებრივი სარგებლიანობის ინტერესის ნაცვლად, რაღაც სხვა ინტერესების შესაძლებლობას უფრო აჩენს.



**— რა ინტერესებს ხედავთ და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, როგორ ფიქრობთ?**

– ცხადია, რთულია იმის თქმა, თუ ვინ დგას, მაგრამ არაერთ შემთხვევაში, ამ აქტივობებს რომ მოაცილოთ „არასამთავრობოს“ სტატუსი, შინაარსით შეიძლება მივიღოთ პოლიტიკური სუბიექტის კამპანიები. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უცნაურად ემთხვევა ზოგიერთი კამპანიის მესიჯი „ნაციონალური მოძრაობის“ მესიჯებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციების უკან ნამდვილად „ნაციონალური მოძრაობა“ დგას. მე, როგორც ანალიტიკოსი, ცხადია, ბუნდოვან მოცემულობებზე დასკვნებს ვერ გავაკეთებ, მით უფრო, დაუმტკიცებელი მოცემულობების ფონზე.

**— მესმის თქვენი, მაგრამ ეს ის ორგანიზაციები არაა, „ნაციონალების“ დროს როცა პირად საუბრებს აქვეყნებდნენ, ხმა რომ არ ამოუღიათ?**

– დიახ, ეს სწორედ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ზედმეტად ორგანულ კავშირს ვარაუდობენ ყოფილ მმართველ პარტიასთან. ამ ეჭვებს ემატება ისიც, რომ მათი ძირითადი „მაპრომოუშენებელი“ არხები მოდის ისეთ მედიასაშუალებებზე, რომლებიც რეალურად „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მუშაობენ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ბოლო ორი მოთხოვნა რომ არა, გავთხოვდებოდი — ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია კახელი მამაკაცის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაზე „ფეისბუკზე“ მხიარულ პოსტს აქვეყნებს.

– ვიფიქრე, მეშველა-თქო, ასაკით მისი მოთხოვნების შესაფერისი აღმოვჩნდი, დაბადებული ვარ თან სამტრედიაში – ანუ ამ მუხლსაც ვაკმაყოფილებ, მაგრამ რად გინდა... მსუქნები და მეგრული გვარებით, არც კი გამეკაროთო (((((((((((( დისკრიმინაციას აქვს ადგილი... ბედი არ მაქვს რა... არადა, ეს ბოლო ორი მოთხოვნა რომ არა, კი გავბედნიერდებოდი)))))))))))), – წერს გრიგოლია.



გამაცნობები

13. ვარ 54 წლის, ქვრივი მამაკაცი, ვცხოვრობ კახეთის ერთ-ერთ სოფელში, მაქვს საკმაოდ კარგი მეურნეობა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, სოფლელ ქალბატონს. მსუქნები, ზარმაცები და მეგრელები არ გამომეხმაუროთ.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## აღარ მიყვარხარ ისე, როგორც ადრე მიყვარდი — მეუღლის მიმართვა მაკა ზამბახიძეს



ვახო ჭუმბურიძე მეუღლეს, მომღერალ მაკა ზამბახიძეს სოციალური ქსელის მეშვეობით სიყვარულს უხსნის.

– მე შენ აღარ მიყვარხარ ისე, როგორც ადრე მიყვარდი. მე შენ იმაზე მეტად მიყვარხარ, ვიდრე პირველად შემიყვარდი. შენ ხარ ჩემი და ხარ ყველაზე ლამაზი. შენ ხარ ერთგული, სამართლიანი, ნიჭიერი და კაი ტიპი.

პ.ს. სახლი დალაგებულია, ჭურჭელი დარეცხილია, სარეცხი გაფენილია. ვიძინებ გკოცნი, – წერს ვახო ჭუმბურიძე.

მომღერალ მაკა ზამბახიძის მეუღლესთან განშორების შესახებ ბოლო დროს საზოგადოება აქტიურად საუბრობდა.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მომღერალ თამთა ჭელიძის საგანგებო მიმართვა თბილისის მერიას



თბილისის მერიაზე გაბრაზებულმა მომღერალმა თამთა ჭელიძემ სოციალურ ქსელში შემდეგი სტატუსი გამოაქვეყნა:

– თბილისობას ხომ დაგვასვენეთ მომღერლები და ახალ წელს დაგასაქმებთო, ასე ვიცოდი და აღმოჩნდა, რომ ახალ წელსაც ვისვენებთ. არ ვიცოდი, ასეთი დაღლილები თუ ვიყავით ყველა! საერთოდ რა ხდება, ვერ გავიგე?! და როდემდე?!

ვის ეხება და ვინ გადაწყვიტა ასე? დიდი მადლობა თბილისის მერიას, ან არ ვიცი, ვინც წყვეტს ამ ყველაფერს!! პატივისცემით თამთა ჭელიძე, – წერს თამთა.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## გვანცა ბაგრატიონის სკანდალური ლექსი მამაკაცებს — „კაცმა დაიწყო სექსით ვაჭრობა...“



რეპერი გვანცა ბაგრატიონი გია ჯაჯანიძის გადაცემა „სხვა რაკურსმა“, როგორც ჩანს, ისე აღაშფოთა, რომ ლექსის დაწერის სურვილიც კი გაუჩინა. ლექსში ბევრი ბილწსიტყვაობაა, თუმცა ბევრი შეიძლება გვანცას დაეთანხმოს კიდეც.

გვანცას ლექსს უცვლელად გთავაზობთ:

– კაცებო ლაიქი, არაკაცებო ანლაიქი. ეს ლექსი თქვენ ჩემგან, კაცმაცუნებო, ვინც თავის თავს დაინახავს, სწორედ მათ ვუძღვნი. ბოზებსა და არაკაცებს რააააა?..

„მო...თ ჩმორნო კაცობა,
სუფრასთან მაიმახობა.
სადღეგრძელოში თავს იჩენთ,
არადა ტყ...ში ტრ...ს იხევთ!
ფეისბუკია თქვენი კაცობა,
კომენტარებში ლაყბობა.
ქალებს აგინებთ ბილწი სიტყვებით
ვითომ კაცები, თავს ირჩენთ მინეტით!

კაცმა დაიწყო სექსით ვაჭრობა
ნუთუ ამ ქვეყნად ყველა გაბოზდა.
ბოზების ტ...ში გაგძვრებათ სული
პატიოსნება აღარ გაქვთ რჯულში.
მოგ...ნთ დედა, მამა და გული
დღეს ხომ ბატონობს ბოზობა, ფული“.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## დუტა სხირტლაძე ნინო ბურჯანაძეს უპირისპირდება — მსახიობი პოლიტიკოსის ფრაზამ აღაშფოთა



უკრაინაში ალექსანდრე კვიტაშვილის ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნას საქართველოში ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. მათ შორის, ვინც უკრაინის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ყველაზე მძაფრად გააპროტესტა: „ჩვენ თუ სუვერენული სახელმწიფო ვართ, უკრაინასთან პრაქტიკულად დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე უნდა მივიდეთ“.

– უკრაინისა და უკრაინელი ხალხის გამო ძალიან ვწუხვარ, რადგან მისი მთავრობა სააკაშვილის მიერ დაშვებულ შეცდომებს იმეორებს ბევრ რამეში. ჩვენმა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მსოფლიოსთვის გაეცნო, თუ რა პრეტენზია აქვს ქართველ ხალხს სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წინააღმდეგ, – განაცხადა ბურჯანაძემ.

აღნიშნულ განცხადებას მსახიობი დუტა სხირტლაძე ეხმაურება, რომელიც საკუთარ მოსაზრებას „ფეისბუკზე“ წერს:

– ნინო ბურჯანაძემ რა მაგარი იდეა მიაწოდა მთავრობას – უკრაინიდან ელჩი გამოიწვიეთ და დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტეთო... ეს ომის გამოცხადებას რომ ნიშნავს, არაფერია?!?!?!?! ვაი ჩვენ თავს. უკრაინასთან თურმე რა კარგი დამოკიდებულება გვაქვს... მაშინ აფხაზეთი და სამაჩაბლოც ჩვენით ვაღიაროთ და ეგაა... სამფერი დროშაც ჩვენით გავარჭოთ ქვეყანას და ვსიო. თეთრსა და წითელს ცისფერიც მივამატოთ ზოლებში და მაგრად მოგვიხდება. (ხომმიხდებაესდროშასმაილი) რაღა დარჩა?! – წერს მსახიობი.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## „ძალიან ნუ დაიძაბებით“ — ლალი მოროშკინა რუსი ცოლების სიას აქვეყნებს



– ყველა რუსი ოკუპანტი არ არის! – წერს ლალი მოროშკინა და აქვეყნებს რუსი ქალბატონების სიას, რომლებიც სხვადასხვა ცნობილი მამაკაცების ცოლები იყვნენ. სიაში იხილავთ აკაკი წერეთელს, ექვთიმე თაყაიშვილს და ცხადია, თავად მოროშკინას მეუღლეს, ირაკლი ჯაფარიძეს.

– ყველა რუსი ოკუპანტი არ არის! რუსი ცოლები, რუბრიკიდან „რას გოუგებ სიყვარულს“ :)))

პიკასოს ცოლი – ოლგა ხოხლოვა

შლიმანის ცოლი – ეკატერინა ლიჟინა

სალვადორ დალის ცოლი – გალინა დიაკონოვა

აკაკი წერეთლის ცოლი – ნატალია ბაზილევსკაია

ექვთიმე თაყაიშვილის ცოლი – ნინა პალტარაცკაია

ირაკლი ჯაფარიძის ცოლი – ლალი მოროშკინა

პ.ს. ძალიან ნუ დაიძაბებით:)), – წერს მოროშკინა.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ავთანდილს ასო მოჰპარეს




დიზაინერ ავთანდილ ცქვიტინიძეს მაღაზიის წარწერიდან ლათინური ასო „L“ მოჰპარეს. ამის შესახებ დიზაინერი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს.

– ვინც ეს „L“ მოიპარა, იმის კუზო დავდგი „ბალკონში“. წყალი შემასხით ვინმემ პირშიიი, – წერს ავთანდილი.

*ambebi.ge*



მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესაყართან
2. მეფე ვახტანგ ...
3. საყრდენი, საძირკველი
4. თმის წითელი საღებავი
5. მხ/ფ „ვესტსაიდური ...
6. წონის დასადგენი ხელსაწყო
7. ქალაქი აფხაზეთში
8. ... ქუხს, ისე არ წვიმს
9. კავშირი, გაერთიანება
10. სირაქლემას სახეობა
11. ციებცხელება
12. ღია საბანაო კოსტიუმი
13. ჭიდაობის ხერხი
14. საწებელი სოსისისთვის
15. 10სმ, ანუ ...
16. რეჟისორი თენგიზ ...
17. ბურთად შეკრული თოვლი
18. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
19. ფისი. იყენებენ გზის მშენებლობისას
20. ნავსადგური
21. მუხლამდე ამოსული წინდა
22. ქართ. ფილმი ზღაპარი
23. გასაყიდად შემოტანილი საქონელი
24. ყურძნის ჯიში
25. ჰერკულესის ბერძნული შესატყვისი
26. ვაზის ყვავილედი
27. „... გინახავს, ვეღარ ნახავ“
28. საარჩევნო საქმიანობა
29. ზღვის ქვიშიანი სანაპირო
30. ადამიანი-ობობა, ანუ ...
31. ყვავილი ვაჟას შემოქმედებაში
32. -... ენუქ, ქრისტე გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქა?(ანანიას სიტყვები)
33. აღმოსავლური საჭმელი
34. ჭია ვაშლში
35. ესპანური კინოაკადემიის ჯილდო
36. ... მღაღადებლისა უდაბნოსა შინა
37. ფრანგი კინოკომიკოსი
38. გმირი ცოტნე ...
39. „ჯერ ..., მერე იქორწინეს“
40. საქმეში ჩადებული წილი
41. გამოუწვავი აგური
42. განვითარება ბიოლოგიურად
43. მსახიობი ... როკი
44. ტელეკოშკი
45. საერთაშორისო პრემიის დამაარსებელი
46. მწერალი ... ქიაჩელი
47. სირანო დე ...
48. თოვლის სტიქია
49. ნახატი წიგნში
50. ... აღმართს ხნავს
51. ქათმების სამწყვდევი
52. ოპიუმი (ძვ.)
53. ისტორიის მუზა
54. იჯარა
55. გალაქტიკა ... ნახტომი
56. ... მე ვარ, იქაც მე ვარ
57. მისი დედაქალაქია ჰავანა
58. ხორცის პროდუქტი
59. დიდი ნემსი
60. ქურდბაცაცა, ანუ ...
61. ჯინა ლოლობრიჯიდას როლი
62. ჯუჯა სამეფო სან-...
63. ფილმის ხელახლა გადაღება
64. პოეტი ... კალანდაძე
65. კერძების მომზადების ხელოვნება
66. ჯუზეპე ვერდის ოპერა
67. ვნებიანობა
68. მხ/ფ „მაკენას ...
69. პირველი სამნიშნა რიცხვი
70. ავტომრბოლელი ... სენა
71. ტელეშოუ „... უნდა 20000“
72. დაბა ადიგენის რაიონში, სადაც ფუნქციონირებს ასტროფიზიკური ობსერვატორია
73. მაიმუნის სახეობა
74. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
75. იოსებ ჯუღაშვილი
76. კანონების შემცველი სახალხო დოკუმენტ.
77. გიგანტი ბერძნულ მით-ში (ზოგადად)
78. სრული ნეტარება ბუდიზმის მიხედვით
79. ფარული დაცინვა
80. ცელქი
81. პირბადე
82. ჩხიკვაძე ფილმში „სოფლის ...
83. უკრემო ნამცხვარი
84. ღამის ფრინველი
85. იაპონური ფულის ერთეული
86. ბამბა, ანუ ...
87. ... ამაღლობელი
88. სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში
89. სხეულის ნაწილი
90. ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ...
91. მიწის სახნავი იარაღი
92. ათმანეთიანი ძველად
93. მსახიობი ... კინსკი
94. გაუშლელი ფოთოლი
95. მსახიობი რობერტ დე ...
96. ორი მიკრივის ბრძოლავარჯიში
97. ორგანო მუცლის ღრუში
98. მზია და ბადრი მულტფილმში „...
99. ექსპრომტი
100. ქალაქი სომხეთში, რომელიც ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია
101. საღეჭი რეზინი, ანუ ...
102. მეველეები ბანრო და ...
103. ფრინველი „ადიუტანტი“
104. ნატალია ვარლეი ფილმში
105. რომის იმპერატორის ტიტული
106. მტაცებელი ცხოველის მამრი
107. სარძევე ჯირკვლების ანთება
108. ხის სახლის მშენებელი
109. მდინარე თბილისში
110. მაღალი გამავლობის საბჭოთა ავტომობ.
111. შავი ფერის კენკრა
112. დიდი, მსუქანი მუცელი
113. დეზდემონას ქმარი
114. შინაური რქოსანი პირუტყვი
115. ამერიკული თოჯინა
116. წინასწარ მიცემული თანხა
117. მსახიობი ...-ჯესიკა პარკერი
118. შიფრი
119. რეჟისორი ანჯეი ...
120. ტბა აფრიკაში
121. სამკურნალო დაწესებულება
122. მხ/ფ „შინდლერის ...“
123. მხატვარი ანტონის ... დეიკი
124. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
125. ტემპერატ. როცა წყალი იყინება
126. მულტფილმი „..., დამაცადე“
127. სურდო ტერმინოლოგიით
128. არაფრისმცოდნე
129. სევდიანი ლირიკული ლექსი
130. მსახიობი ... პარიოო
131. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ ლეონიდ ბრონევოის პერსონაჟი
132. მსახიობი ... მენდესი
133. ... ხაჩატურიანი
134. ცუდი ამინდი
135. მიწაში დაფლული სიმდიდრე
136. ხორცმეტი კანზე
137. მოტორიანი ნავი
138. ანსამბლი „ოთხი ...“
139. ყურძენი იზაბელა
140. ... პუგაჩოვა
141. დარწმუნების უქონლობა, უნდობლობა
142. პატარა მარხილი
143. ჯეიმს კამერონის ლურჯი ადამიანები ფილმში
144. მომღერალი ... კვალიაშვილი
145. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
146. მარინე ფერაძე, იგივე ...
147. თირკმლების დაავადება
148. ქარი ეპითეტით „ცელქი“
149. საზღვაო კურორტი თურქეთში
150. მსახიობი ... მაკდაუელი
151. მსახიობი ანჯელინა ...



პასუხები: 1. მცხეთა; 2. გორგასალი; 3. ფუძე; 4. ინა; 5. ისტორია; 6. სასწორი; 7. გუდაუთა; 8. როგორც; 9. ალიანსი; 10. ემუ; 11. მალარია; 12. ბიკინი; 13. ფანდი; 14. მდოგვი; 15. დეციმეტრი; 16. აბულაძე; 17. გუნდა; 18. ამერიგო; 19. გუდრონი; 20. პორტი; 21. გეტრი; 22. „ცისკარა“; 23. იმპორტი; 24. საფერავი; 25. ჰერაკლე; 26. მტევანი; 27. რაც; 28. კამპანია; 29. პლაჟი; 30. სპაიდერმენი; 31. ია; 32. მამაო; 33. ლულაქაბაბი; 34. მატლი; 35. „გოია“; 36. ხმა; 37. ფერნანდელი; 38. დადიანი; 39. დაიხოცნენ; 40. პაი; 41. ალიზი; 42. ევოლუცია; 43. მარიკა; 44. ანძა; 45. ნობელი; 46. ლეო; 47. ბერჟერაკი; 48. ზვავი; 49. ილუსტრაცია; 50. ძალა; 51. საქათმე; 52. თრიაქი; 53. კლიო; 54. არენდა; 55. ირმის; 56. აქაც; 57. კუბა; 58. ძეხვი; 59. მახათი; 60. ბაცაცა; 61. ესმერალდა; 62. მარინო; 63. რიმეიქი; 64. ანა; 65. კულინარია; 66. „ტრავიატა“; 67. ეროტიკა; 68. ოქრო; 69. ასი; 70. აირტონ; 71. ვის; 72. აბასთუმანი; 73. ანთარი; 74. მაკ; 75. სტალონე; 76. ქარტია; 77. ტიტანი; 78. ნირვანა; 79. ირონია; 80. ანცი; 81. მანდილი; 82. აშიკი; 83. ბისკვიტი; 84. ბუ; 85. იენა; 86. კოტონი; 87. რატი; 88. „მარაკანა“; 89. ტანი; 90. ქვიშასა; 91. გუთანი; 92. თუმანი; 93. ნასტასია; 94. კვირტი; 95. ნირო; 96. სპარინგი; 97. ელენთა; 98. „მტრობა“; 99. კაფია; 100. სპიტაკი; 101. კევი; 102. გივილო; 103. მარაბუ; 104. „ვიი“; 105. კეისარი; 106. ხვადი; 107. მასტიტი; 108. ხურო; 109. მტკვარი; 110. „ვილისი“; 111. მაყვალი; 112. ლიპი; 113. ოტელო; 114. ძროხა; 115. ბარბი; 116. ბე; 117. სარა; 118. კოდი; 119. ვაიდა; 120. ნიასა; 121. კლინიკა; 122. სია; 123. ვან; 124. სან; 125. ყინვა; 126. აბა; 127. რინიტი; 128. უვიცი; 129. ელეგია; 130. ან; 131. მიულერი; 132. ევა; 133. არამ; 134. ავდარი; 135. განძი; 136. მეჭეჭი; 137. კატერი; 138. გია; 139. „ადესა“; 140. ალა; 141. ეჭვი; 142. ციგა; 143. „ავატარი“; 144. ეკა; 145. პან; 146. ჭრიჭინა; 147. ურემია; 148. სიო; 149. ანტალია; 150. ენდი; 151. ჯოლი. იკითხება: სვეტიცხოველი. ვარძია.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მეკარე (მოძვ.)
2. ადამიანის ფიგურა ვიტრინაში
3. ... აღმართს ხნავს
4. მსახიობი ჯორჯ ...
5. მეფე არტურის მრგვალი მაგიდა
6. მსოფლმხედველობა
7. თვალის ბისტი
8. ბელგიის დედაქალაქი
9. მოუხარშავი
10. მოძღვრება მშვენიერების შესახებ
11. მხ/ფ „... ზორბა“
12. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
13. ცირკის ტანმოვარჯიშე
14. მსახიობი ჯეიმს ...
15. წარწერა კადრის ქვეშ
16. დახვეული ნამცხვარი
17. წყლის მოლუსკი
18. მხატვარი ედუარდ ...
19. მეწისქვილის წილი ფქვილიდან
20. მომღერალი ... ჩარლზი
21. რუსი მხატვარი პერედვიჟნიკი
22. ფრანგი იუველირი ჟან ...
23. ჯოხი ძუითა და კავით
24. დასარტყამი საკრავი
25. მუსიკალ. ვიდეორგოლი
26. ქიმიური ინდიკატორი
27. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
28. ოჯახი სოფლად
29. მკერდის კორექციის მასალა
30. დურგლის იარაღი
31. მსახიობი ჩარლი ...
32. სიახლე ტექნიკაში
33. რას დებს ქათამი
34. დიდი საჯარისო შენაერთი
35. ვერცხლის ათცენტიანი
36. ცხენებშებმული ტრამვაი
37. წყალქვეშა ჭურვი
38. გერმანული მუსიკალ. ჯგუფი
39. კომპოზიტორი ... გაბუნია
40. ნივთიერება ჩაიში
41. საქმეში ჩადებული წილი
42. ავსტრალიელი აბორიგენების იარაღი
43. მწერალი ... დე ბალზაკი
44. ერთგვარი ქუდი
45. მხ/ფ „... კონგენიალურობა“
46. აჭარის დედაქალაქი
47. ვაჭრობის ღმერთი
48. მომღერალი ... დიონი
49. „განკიცხულნი“ პერსონაჟი
50. მხ/ფ „... და კლაიდი“
51. მან დაიბანა ხელები (ბიბლ.)
52. ძვ. რომაელი პოლიტიკოსი
53. ილუზიონისტი დევიდ ...
54. მწერალი რედიარდ ...
55. შინაური ცხოველი
56. ბიბლიური მოსეს ძმა
57. მხ/ფ „მისტერ ... საავადმყოფოში“
58. მხატვარი ... გრეკო
59. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
60. დაბალფასიანი
61. ქალაქი ნიდერლანდში
62. მსახიობი ... რივზი
63. ამინდის განსაზღვრა
64. აზრი
65. მხ/ფ „ლონდრე“ ქალაქის მერის ცოლი
66. ლითონის ფული
67. უტყეო ჭაობიანი ზონა
68. მარჯნის კუნძული
69. ვითომ უებარი წამალი
70. პოეტი ... პეტეფი
71. ნიგვზის საწებელი
72. შორ მანძილზე მორბენალი
73. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
74. ამერიკელი მომღერალი ქალი
75. ქვეყნიერების გადამრჩენი
76. შხამიანი მწერი
77. ამერიკელების მეტსახელი
78. ნაცია
79. უანგარო შრომა
80. ამერიკელი მულტიმილიონერი
81. მთათა სისტემა აზიაში
82. დიზაინერი ... კარდენი
83. მსახიობი ... მორო
84. ვიოლინოების იტალიელი ხელოსანი
85. მუხის ხოჭო
86. „ამბავი ... კოტორაშვილისა“
87. მსახიობი ... ჰეპბერნი
88. საზეიმო მუსიკალ. ნაწარმოები
89. ცელქი
90. ლომის თათი
91. დიდი ჯოხი
92. „... ცეკვის მარცვალზე“
93. მხატვარი ედუარდ ...
94. რაჯ კაპური ფილმში
95. კონტინენტი
96. დრამა, კომედია, ...
97. ქართ. ეპოსის გმირი
98. მილანის საფეხბ. კლუბი
99. მწერალი ... ჩეხოვი
100. ვაშლის ზამთრის ჯიში
101. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
102. თვალის ბუდე
103. კონტინენტი
104. ... შეჯდა მწყერი ხესა
105. მსახიობი ... გიბსონი
106. მატყუარა
107. ზღვა იტალიასთან
108. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
109. მსახიობი ... არდანი
110. მოწნული ჭურჭელი
111. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
112. „მიმინო“ მღებავი
113. „შავყურა თეთრი ...“
114. მომღერალი სოფია ...
115. მოდელი ... ფანგანი
116. მსახ. ... უიზერსპუნი
117. იაპონური არაყი
118. სითხის გამოსახდელი ჭურჭელი ძველად
119. ესპანელი მხატვარი
120. მსახიობი ... გარდნერი
121. სტალინის დედა
122. ფალიაშვილის ოპერა
123. კომპოზიტორი ... პაულსი
124. ნაბიჯი ბალეტში
125. ოჯახური გაერთიანება
126. ღმერთი სკანდინავ. მითებში
127. ჩეხეთის დედაქალაქი
128. ჯგუფად მდგარი ხეები
129. შვედური საესტრადო ანსამბლი
130. ბუდისტი მღვდელი
131. კონტინენტი
132. სლავური ანბანი
133. სისხლის მიმოქცევის ორგანო
134. გოგებაშვილი. „თხა და ...“
135. „გაზაფხული შემოსულა ...“
136. მსახ. ... ბერიკაშვილი
137. მეფის მხლებლები
138. პატარა მდინარე
139. ... ასე, ... ისე
140. კომში
141. კაციჭამია
142. პოეტი ... მაჭავარიანი
143. ქალაქი სამეგრელოში
144. დაღესტნური სოფელი
145. სისხლნაკლებობა
146. მახლის ჯიში
147. საყანედ გაჩეხილი ტყე
148. იოლი, ანუ ...
149. საეკლესიო კრება

პასუხები: 1. გოლკიპერი; 2. მანეკენი; 3. ძალა; 4. კლუნი; 5. ლანსელოტი; 6. კრედო; 7. ლიბრი; 8. ბრიუსელი; 9. უმი; 10. ესთეტიკა; 11. ბერძენი; 12. ძიძია; 13. აკრობატი; 14. დინი; 15. ტიტრი; 16. რულეტი; 17. მიდია; 18. დეგა; 19. მინდი; 20. რეი; 21. შიშკინი; 22. შარდენი; 23. ანკესი; 24. დაირა; 25. კლიპი; 26. ლაკმუსი; 27. პიანო; 28. კომლი; 29. სილიკონი; 30. შალაშინი; 31. შინი; 32. ნოუ-ჰაუ; 33. კვერცხი; 34. არმია; 35. დაიმი; 36. კონკა; 37. ტორპედო; 38. „ენიგმა“; 39. ნუნუ; 40. კოფეინი; 41. პაი; 42. ბუმერანგი; 43. ონორე; 44. კეპი; 45. მის; 46. ბათუმი; 47. ჰერმესი; 48. სელინ; 49. კოზეტა; 50. ბონი; 51. პილატე; 52. ციცერონი; 53. კოპერფილდი; 54. კიპლინგი; 55. თხა; 56. აარონი; 57. პიტკინი; 58. ელ; 59. ონდატრა; 60. იაფი; 61. მაასტრიხტი; 62. კიანუ; 63. პროგნოზი; 64. იდეა; 65. ამეთვისტო; 66. მონეტა; 67. ტუნდრა; 68. ატოლი; 69. პანაცეა; 70. შანდორ; 71. ბაჟე; 72. სტაიერი; 73. მალტა; 74. ენია; 75. მესია; 76. კრაზანა; 77. იანკი; 78. ერი; 79. ამაგი; 80. როკფელერი; 81. ტიან-შანი; 82. პიერ; 83. ჟანა; 84. ამატი; 85. ხარაბუზა; 86. ივანე; 87. ოდრი; 88. კანტატა; 89. ანცი; 90. ტორი; 91. კეტი; 92. პრინცესა; 93. მონე; 94. „ავარა“; 95. ამერიკა; 96. ტრაგედია; 97. ამირანი; 98. „ინტერი“; 99. ანტონ; 100. რანეტი; 101. „მატრიცა“; 102. ფოსო; 103. აფრიკა; 104. არა; 105. მელ; 106. ცრუ; 107. ადრიატიკა; 108. ესე; 109. ფანი; 110. ტორტილა; 112. არისტოფანი; 113. ბიმი; 114. როტარუ; 115. ეკო; 116. რიზ; 117. საკე; 118. რეტორტა; 119. გოია; 120. ავა; 121. კეკე; 122. „დაისი“; 123. რაიმონდ; 124. პა; 125. კლანი; 126. ოდინი; 127. პრაღა; 128. კორომი; 129. „აბბა“; 130. ლამა; 131. აზია; 132. კირილიცა; 133. გული; 134. გიგო; 135. ლენ; 136. გივი; 137. ამალა; 138. ღელე; 139. ან; 140. ბია; 141. კანიბალი; 142. მუხრან; 143. ხობი; 144. აული; 145. ანემია; 146. გულაბი; 147. ახო; 148. ადვილი; 149. სინოდი. იკითხება: პიერ რიშარი.

## ხელოვნური მკერდი ქალს კიბოსგან იცავს?



კარგად გვახსოვს, ბევრჯერ დაწერილა, რომ ხელოვნურ მკერდს კიბოს გაჩენა შეუძლია. დღეს უკვე მედიკოსები ამ შეხედულებას ზურგს აქცევენ და ამტკიცებენ, რომ პირიქით, ამ მხრივ გავლენა მხოლოდ დადებითია. კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ იმპლანტანტები სარძევე ჯირკვლების გაჩენის რისკს არ ზრდის. პირიქით, საშუალებას იძლევა, ჯანმრთელობის პრობლემა ადრეულ სტადიაზე გამოვლინდეს.

სპეციალისტების თქმით, პაციენტები, რომლებსაც მკერდი იმპლანტანტებით აქვთ შელამაზებული, უკეთეს ყურადღებას უთმობენ ჯანმრთელობას და რეგულარულად დადიან ექიმებთან, რისი წყალობითაც, აქვთ შანსი, დაავადება არა მხოლოდ ადრეულ სტადიაზე აღმოაჩინონ, არამედ ის დაამარცხონ კიდეც.

– თავად იმპლანტანტი კი სარძევე ჯირკვლის კიბოს გაჩენის რისკებზე გავლენას არ ახდენს, – ასეთია სპეციალისტების დასკვნა.

*myjane.ru*

## მეცნიერებმა ძვლების... წებო გამოიგონეს



წარმოიდგინეთ, რა მაგარია, როცა ღმერთმა არ ქნას და ადამიანს ფეხი მოსტყდება, უჯრიდან წებოს გამოიღებს და დაზიანებულ ადგილს აღიდგენს...

მთლად ასე მარტივადაც არ არის საქმე, მაგრამ ძალიან საინტერესო გამოგონებისთვის შვედი მეცნიერები აპლოდისმენტებს მაინც იმსახურებენ.

სწორედ შვედი სპეციალისტების სასარგებლო მუშაობის შედეგია განსაკუთრებული წებოს შექმნა, რომელიც მოტეხილი ძვლების დაწებების საშუალებას იძლევა.

სიახლის ავტორთა მტკიცებით, წებოს გამოყენება ხერხემლის მოტეხილობების დროსაც კი შეიძლება. კერძოდ, ძვლების შეწებებისთვის საჭიროა მოტეხილობების ადგილზე მისი წასმა, შემდეგ კი ჭრილობაზე სპეციალური ჰალოგენური ლამპის დანათება. როგორც კი ძვლები ერთმანეთში შეიზრდება, წებო თავისით აორთქლდება.

ცნობილია, რომ წებოზე შვედი მეცნიერები დაახლოებით 14 წელი მუშაობდნენ, თუმცა როდის დაიწყება მისი პრაქტიკაში გამოყენება, აღარ ზუსტდება.

*liveinternet.ru*

## კატები პატრონის ქცევებსა და ჩვეულებებს იმეორებენ



შესაძლოა, შეგიმჩნევიათ კიდეც, რომ შინაური ცხოველის ქცევები, განსაკუთრებით კი კატის, თქვენი ან ოჯახის სხვა წევრების ქცევებს ძალიან წააგავს.

ახალი კვლევა, რომელიც მესინას ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტის (იტალია) თანამშრომლებმა ჩაატარეს, იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსება კატისა და პატრონის ქცევებს შორის სულაც არ არის უბრალო დამთხვევა.

მკვლევარებმა შინაური კატების ორი ჯგუფი შეისწავლეს. პირველ ჯგუფში შემავალი კატები მცირე ზომის სახლებში ცხოვრობდნენ და დროის უმეტეს ნაწილს უშუალოდ პატრონის სიახლოვეს ატარებდნენ. მეორე ჯგუფის ცხოველებს კი დიდი და კერძო სახლები ხვდათ წილად, თანაც ქუჩაში ხშირად გასვლის უფლებაც ჰქონდათ მიღებული.

დროთა განმავლობაში, პირველი ჯგუფის კატების ცხოვრება პატრონის ცხოვრების თითქმის ანალოგიური გახდა, მაგალითად, ძილისა და გაღვიძების დროც კი მათ ერთმანეთის მსგავსი ჩამოუყალიბდათ. გარდა ამისა, ცხოველები სამზარეულოში ზუსტად იმ დროს შედიოდნენ, როცა იცოდნენ, რომ იქ საკვები უნდა დახვედროდათ. ასევე, ადვილად აღებდნენ კარადის კარს, ან უკეთ ხვდებოდნენ, სად იყო ტუალეტი. რაც შეეხება მეორე ჯგუფის ფისოებს, მათ, ფაქტობრივად, მსგავსი არაფერი აღმოაჩნდათ.

კვლევის ავტორები განმარტავენ, რომ, როგორც წესი, მაგალითად, სპორტით დაკავებული აქტიური ადამიანების კატები თამაშის მოყვარულები არიან, სულ ხტუნაობენ, ხოლო შედარებით პასიური და ჭარბწონიანი ადამიანების კატები მსუქნები არიან, უყვართ სითბოში წოლა და ზანტად მოძრაობენ. მშვიდი ადამიანების კატებიც მშვიდები არიან, ხოლო აგრესიულ ადამიანებს კატებიც აგრესიულები ჰყავთ.

*tainamira.ru*

## რთული მოზარდი: ვითომ, საქმე მართლა ცუდადაა?



თუკი ვაჟი ან ქალიშვილი, რომელსაც რთული ხასიათი აქვს გეზრდებათ, მაშინვე ნერვიულობას ნუ მოჰყვებით. სპეციალისტების თქმით, თქვენი შვილის უნარი, საკადრისი პასუხი გასცეს თანატოლებსა და უფროსებს და საკუთარი სიმართლე დაამტკიცოს, არ არის არც ასაკობრივი ბუნტი და არც მავნებლობა. ეს უფრო მეტად მოზარდის გონიერებისა და სალად აზროვნების შედეგი უნდა იყოს. და როგორც შედეგი, მან უნდა მოახერხოს, უარი თქვას ქუჩის გავლენაზე ნარკოტიკების, ალკოჰოლის და თამბაქოს სახით.

შვეიცარიელი ექსპერტები დარწმუნებით ამბობენ, მშობლებისა და მოზარდების კამათი, ეს არის ჯანსაღი ავტონომიის გამოვლენა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების გაკვეთილები.

განსაკუთრებით იოლად უმკლავდებიან ცხოვრებას ბავშვები, რომლებსაც დედის მხარდაჭერა აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ასაკი, როცა მოზარდებს დედის სიყვარული სჭირდებათ, საშუალოდ 13 წელია. როცა, ამ მხრივ, ყველაფერი რიგზეა, ბიჭებიცა და გოგონებიც ბევრად სწორ ცხოვრებას ირჩევენ, უკეთ სწავლობენ და ცდილობენ, მშობლებს მიბაძონ.

*psixolog.by*

## სტეფანი კინმა ტვინის გარეშე 2,5 წელი იცოცხლა



ამერიკელი გოგონა, სახელად სტეფანი კინი, უკეთ ცნობილი, როგორც ბები კეი, უიშვიათესი დაავადებით – ანენცეფალიით დაიბადა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ტვინი მას საერთოდ არ ჰქონია.

რა თქმა უნდა, გოგონას თავისქალა მთლიანად ცარიელი არ ყოფილა – თავის ტვინის ღერო, რომელიც სუნთქვაზე, გულისცემის ციკლსა და სისხლის წნევაზეა დამოკიდებული, თითქმის ისევე იყო განვითარებული, როგორც ეს ნორმალური ადამიანის შემთხვევაში ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ შვილის დაავადების შესახებ დედამ ჯერ კიდევ ფეხმძიმობისას შეიტყო, მუცლის მოშლაზე მაინც კატეგორიული უარი თქვა. სამშობიაროს ექიმები, სადაც სტეფანი დაიბადა, იძულებულები გახდნენ, ჩვილი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატისთვის მიეერთებინათ, რადგან მას სუნთქვის პრობლემები ძალიან ხშირად უჩნდებოდა. გარდა ამისა, ექიმები დედას ურჩევდნენ, ბავშვისთვის აპარატი გაეთიშა, რაზეც ის ასევე სასტიკ უარს ამბობდა. შედეგად, საქმე სასამართლომდე მივიდა.

სტეფანის მშობლებმა პროცესი მოიგეს, რითიც ამერიკის ისტორიაში შეიქმნა პრეცედენტი და მიღებულ იქნა კანონი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებებს ავალდებულებს, დახმარება აღმოუჩინონ ნებისმიერ პაციენტს, დამოუკიდებლად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა.

მოგვიანებით, სამწუხაროდ, ბები კეი 2 წლისა და 174 დღის ასაკში იმავე საავადმყოფოში გარდაიცვალა, სადაც დაიბადა.

ჩვეულებრივ, აღნიშნული დაავადების მქონე ბავშვები რამდენიმე საათიდან რამდენიმე კვირამდე ცოცხლობენ. სტეფანისთვის სიცოცხლის შენარჩუნების მცდელობაზე დაახლოებით 500 ათასი დოლარი დაიხარჯა.

*svodka.net*

## შეუძლიათ თუ არა ცხოველებს, ახსოვდეთ წარსული?



ადამიანის აზროვნების ერთ-ერთი თავისებურება ეპიზოდური მეხსიერების ქონაა. ჩვენ შეგვიძლია ფიქრებით წარსულში დაბრუნება, ცალკეული ეპიზოდების გაანალიზება, რაც ადრე მიღებული გამოცდილების აწმყოში გამოყენების საშუალებას იძლევა.

ძალიან დიდი ხნის მანძილზე მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ცხოველებს ადამიანის მსგავსი ეპიზოდური მეხსიერება არ გააჩნიათ, რომ მათ შეუძლიათ რაღაცების შესწავლა, გარემოსთან ადაპტირება, მაგრამ არ აქვთ უნარი, მეხსიერებით წარსულის მოვლენებში დაბრუნდნენ.



გავიდა დრო და გერმანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ეპიზოდური მეხსიერება ზოგიერთი სახეობის ცხოველს ნამდვილად აქვს. კერძოდ, ერთი ადამიანი შიმპანზეს ბანანს აჩვენებდა, მაგრამ არ აძლევდა საშუალებას, მას მიწვდენოდა. შემდეგ ადამიანი ბანანს მალავდა და მიდიოდა. სულ მალე ჩნდებოდა სხვა ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, სად იყო დამალული პრიმატის საყვარელი პროდუქტი, თუმცა შიმპანზე მას ბანანს ჟესტების გამოყენებით აჩვენებდა.

ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მაიმუნს არა მხოლოდ ახსოვდა, სად იყო ბანანი დამალული, არამედ ეს სხვა ადამიანსაც აუხსნა.

შესანიშნავი მეხსიერების დემონსტრირებას ახდენენ ცისფერი ბუჩქის ჩხიკვებიც. კერძოდ, საკვებს სხვადასხვა ადგილას მალავენ, შემდეგ კი მას ადვილად პოულობენ. გარდა ამისა, ისინი პირველ რიგში ისეთ საკვებს ჭამენ, რომელიც სწრაფად ფუჭდება, რაც ასევე იმის მანიშნებელია, რომ კარგად ახსოვთ, სად ჩაფლეს „საგანძური“.

*novostiua.net*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



გოგო ბიჭს მობილურზე ურეკავს:

– საყვარელო, როგორ ხარ და რას შვრები?

– რა ვიცი, ვწევარ საწოლში და დაძინებას ვაპირებ... შენ?

– მე კი ბარში ვზივარ, შენ ზურგს უკან და გიყურებ, როგორ წრიალებ და ვერ იძინებ...

*****

სკოლის მოსწავლეები თხზულებას წერენ, თემაზე: „რას გავაკეთებდი, მილიონი დოლარი რომ მოვიგო?“

სურენჩიკამ დიდხანს იანგარიშა, მერე ხელი აიწია და:

– მასწავლებელო, მაიტა, 100 დოლარიც დავამატოთ, რა!..

*****

ცოლი საშინელ „პახმელიაზე“ იღვიძებს. დიდხანს წრიალებს, კვდება. ბოლოს ქმარს ეკითხება:

– აუ, მითხარი, რა, როცა სვამ ხოლმე და დილით თავი გისკდება, რას აკეთებ ხოლმე?

– რას ვაკეთებ და შენს წყევლას ვუსმენ!..

*****

არსებობს საჩუქრების ორი სახეობა:

1) რა ჩემ ფეხებად მინდა?!

2) ვინ ჩემი ფეხები მაჩუქებს?!

*****



– მამიკო, მითხარი, ოღონდ არ დამიმალო – ნაშვილები ვარ?

– ბიჭო, როგორ გგონია, მე და დედაშენს ბავშვის არჩევის საშუალება რომ გვქონოდა, შენნაირ დებილს ავირჩევდით?!

*****

– გიყვარვარ?

– რა თქმა უნდა?!

– ძალიან?

– ძალიან!

– და ყველაზე მეტად რა მოგწონს?

– ლუდი!..

*****

ცოლი ქმარს:

– ეს ჩვენი გრძელფეხება მოახლე მაგარი შტერია – საუზმეს გიმზადებდა და დაეწვა. მხოლოდ გემრიელი კოცნები დაგაკმაყოფილებს?

– რა გაეწყობა – მიდი, დაუძახე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## დასახელებულია ავტომობილის მართვის ყველაზე უსაფრთხო და სახიფათო დღეები



სად რა საფრთხე იმალება და საიდან რა გამოხტება, წინასწარ რომ ვიცოდეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, თუმცა...

ისე, შესაძლოა, ბევრი სკეპტიკურადაც იყოს განწყობილი მეცნიერების მიერ მსგავსი კვლევების ჩატარების მიმართ, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც გავითვალისწინოთ მათი შედეგები, ამით განა რამე დაშავდება?..

ბრიტანელმა მეცნიერებმა ავტოავარიების სტატისტიკა შეისწავლეს და აქედან გამომდინარე, ავტომობილის მართვის ყველაზე უსაფრთხო და სახიფათო დღეები დაასახელეს. მათი თქმით, ყველაზე უსაფრთხო დღე ივნისის ნებისმიერი კვირაა, ხოლო ყველაზე საშიში – სექტემბრის ყოველი სამშაბათი.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაასახელეს მიზეზები, რომელთა გამოც მძღოლები ყველაზე ხშირად ლიზიანდებიან: დისტანციის დაუცველობა, ტრასაზე ზედმეტად ნელა სიარული, მკვეთრი გადანაცვლებები.

აქვე კიდევ ერთი კვლევის შესახებაც გეტყვით, რომელიც ავტომობილის მართვას უკავშირდება და რომლის ავტორები კვლავაც ინგლისელები არიან. კერძოდ, მათ დაადგინეს, რომ საჭესთან კლასიკური მუსიკის მოსმენა სახიფათოა, რადგან ასეთი მუსიკა ადამიანს ამშვიდებს, აქვეითებს ყურადღებას, იწვევს ძილიანობას და რაც ამ ყველაფერს შეიძლება მოჰყვეს, რთული მისახვედრი სულაც არ არის. ყველაზე სახიფათო კლასიკური მუსიკის ნაწარმოებებია: ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია, ბახის ფუგა და შტრაუსის ვალსები.

***myjane.ru; auto.lenta.ru***

## მოწევა სტრესს ვერაფერს აკლებს



ბევრი იტყვის ხოლმე, თითქოს თავის მართლება სურს – როცა ვნერვიულობ, სიგარეტს მაშინ ვეწევიო. ცრუობთ, ამხანაგებო, ტყუილია ეს თქვენი სიტყვები და ახლავე გეტყვით, რატომაც.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მღელვარებისგან თავის დასახსნელად აუცილებელია სიგარეტის გადაგდება და არა მისი მოწევა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ბრიტანელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომლებმაც სიგარეტით „სარგებლობის" მითი გააქარწყლეს. კერძოდ კი მოსაზრება, თითქოს მოწევა ადამიანს სტრესთან და ნერვიულობასთან გამკლავებაში ეხმარება.

500 აქტიური მწეველის შემოწმების შედეგად, ნისლიან ალბიონზე დაასკვნეს, რომ სინამდვილეში, როცა ადამიანი სიგარეტს თავს ანებებს, ოპტიმიზმით ივსება და მღელვარების შეტევები თითქმის უკვალოდ ქრება.

ბუნებრივია, კვლევა ექიმებს საშუალებას მისცემს, მწეველებს უკეთესი არგუმენტები წარუდგინონ, რომ მავნე და დამღუპველი ჩვევა არ შეიძლება ადამიანს თუნდაც უმნიშვნელო შეღავათს აძლევდეს.

***bbc.co.uk***

## ტირილს ადამიანის ჯანმრთელობის გაძლიერება შეუძლია?

ისე, რაღა ტირილით უნდა გავიძლიეროთ ჯანმრთელობა, არ ჯობია, სიცილით ვიზრუნოთ ამ კეთილშობილური მიზნისთვის?!

ასეა თუ ისე, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ცრემლებიც ისევე მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისთვის, როგორც სიცილ-ხარხარი.

ჩატარდა ექსპერიმენტიც, რომელმაც აჩვენა, რომ ტირილის შემდეგ ადამიანის განწყობა და მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ექიმები ამას იმით ხსნიან, რომ ტირილის დროს მარილიან ცრემლებთან ერთად ხდება ორგანიზმიდან ისეთი ნივთიერებების გამოდევნა, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა პრობლემების გამოწვევა შეუძლიათ.

სპეციალისტები აქვე იმასაც ამბობენ, რომ ზემოთქმულის მიუხედავად, არ ღირს ტირილთან დამეგობრება, რეგულარულად ისტერიკაში ჩავარდნა.

– ტირილი სასარგებლო მხოლოდ კვირაში ერთხელ შეიძლება იყოს, – ასეთია მათი რჩევა.

***myjane.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**4 დეკემბერი:** როგორც ჩანს, გარშემომყოფნი თქვენს ნებისმიერ წამოწყებას დაუპირისპირდებიან, ამიტომ არც ჰკითხოთ აზრი, უმჯობესია შედეგი ნახონ.

**კურო 22.04-21.05**

**4 დეკემბერი:** ყველაფერს სერიოზულად უდგებით. შეიძლება საქმიანობის ეფექტურობისთვის ეს ცუდი არ არის, მაგრამ ნერვებსაც უნდა მოუფრთხილდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**4 დეკემბერი:** კარგი დღეა ოდესღაც დაკარგული კავშირების აღსადგენად. როგორც ჩანს, ძალიან ძველ ახლობელ-მეგობრებს შეხვდებით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**4 დეკემბერი:** არავითარ შემთხვევაში არ იჩქაროთ. თუ რამე დაუყოვნებლივ გაქვთ მოსამთავრებელი, ყველაფერი იღონეთ, რომ ვადა გააგრძელებინოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**4 დეკემბერი:** როგორც ჩანს, ღია და სერიოზული საუბრის დრო დადგა. რა საკითხზე, ეს თავად გეცოდინებათ. ამ საქმეს ნუ გადადებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**4 დეკემბერი:** ბევრი შესაძლებლობებიც რომ გქონდეთ, ყველაფერს ერთად ნუ წაეპოტინებით, არაქათს გამოიცლით და უმნიშვნელო შედეგი გექნებათ. ძირითად საქმეს მიხედეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**4 დეკემბერი:** გარშემომყოფნი თქვენს ქმედებებზე ნაჩქარევ დასკვნებს გამოიტანენ, ამიტომ მათზე ორიენტირება არ ღირს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რას იტყვის, მთავარია, თქვენ გჯეროდეთ საკუთარი თავის.

**მორიელი 23.10-21.11**

**4 დეკემბერი:** დღეს რაღაც სიახლე მოგინდებათ, მაგრამ კონკრეტულად რა, გარკვევა გაგიჭირდებათ. ახლობლებს დაელაპარაკეთ, იქნებ მათ გირჩიონ რამე.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**4 დეკემბერი:** დღეს იმდენად ემოციური იქნებით, რომ თქვენს გვერდით ყოფნა შეუძლებელი იქნება. ფრთხილად იყავით, უნებლიეთ ვინმეს უსამართლოდ გული არ ატკინოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**4 დეკემბერი:** დღეს არც კომპრომისებისკენ იქნებით მიდრეკილი და სინანულისთვისაც დრო არ დაგრჩებათ. ამიტომ, შეუძლებელია, ეს დღე წარმატებული არ იყოს.

**მერწყული 20.01-18.02**

**4 დეკემბერი:** არჩევანის წინაშე შეიძლება დადგეთ: ან ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები უნდა გამოიტიროთ, ან ახალი საქმეების აქტიური ძებნა უნდა დაიწყოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**4 დეკემბერი:** მხოლოდ კარგზე იფიქრეთ, შეიძლება ბევრი რამ გამოგივიდეთ სანდო საყრდენის გარეშეც კი, მაგრამ თავის დაზღვევაც არ დაგავიწყდეთ.

## რა ღირს მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ყველი?



წინასაახალწლოდ კი საშინლად გააძვირეს ყველაფერი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ყველიც, მაგრამ სერბების ყველის ფასთან კიდევ კარგი, ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ!..

ყველს სახელად „პულე" ეწოდება და ის სერბეთის ერთ-ერთ... სახედრების ფერმაში მზადდება... უი, სახედრების ფერმაშიო, გაიგონეთ?! გამოდის, რომ ვირის ყველიც არსებობს?! მოკლედ, რას არ გაიგებს კაცი, რა.

ჰო, ფასს რაც შეეხება, 1 კილოგრამი სერბული ვირის ყველი 1300 აშშ დოლარი ღირს.

როგორც ამბობენ, ასეთი მაღალი ფასი იქიდან მოდის, რომ 1 კილო ყველის მისაღებად 25 ლიტრი რძეა საჭირო, სახედრის, რასაკვირველია. ცნობილია ისიც, რომ 1 ლიტრი სახედრის ყველი 40 ევრო ღირს, დღეღამეში კი ჩოკინა მხოლოდ 200 მილილიტრ რძეს იწველება.

გარდა ყველისა, ფერმა სახედრის რძესაც ყიდის, რომელიც, როგორც ამბობენ, თვით კლეოპატრას სილამაზის საიდუმლო ყოფილა. კერძოდ, ლეგენდის თანახმად, კლეოპატრა სახედრის რძის აბაზანებს ყოველდღე იღებდა, რითიც კანის უზადო სილამაზეს ინარჩუნებდა.

***unrealtrue.ru***

## მამაკაცის ყველაზე გრძელი... სახელი



იმისთვის, რათა მთელ მსოფლიოს შეეტყო მის შესახებ, 36 წლის ედინბურგელმა მამაკაცმა, რომელსაც წარსულში „მხოლოდ" ნიკი ერქვა, ამიერიდან ასეთი სახელი შეირჩია:

ბარნაბი მარმადიუკ ალოიზი ბენჟი კობვებ დარტანიან ეგბერტ ფელიქს გასპარ გუმბერტ ჯეიდენ კასპერ ლეროი მაქსიმილიან ნედი ობიახულუ პეპინ კიულიამ როზენკრანც სექსტონ ტედი აპვუდ ვივატმა უეილენდ ქსიპონ იარდლი ზაქარი უსანსკი. უი, დედა!..

არ იფიქროთ, შოტლანდიელის სახელში „უი დედაც" შედიოდეს, უბრალოდ, ძალიან დამღლელი აღმოჩნდა თვალ-ყურის დევნება, რამე რომ არ გამორჩენილიყო და...

გინესის რეკორდების წიგნმა უკვე დააფიქსირა ედინბურგელი, როგორც „მსოფლიოში ყველაზე გრძელი მამაკაცის სახელის მქონე", თუმცა მეგობრები სიახლეს ვერაფრით ეგუებიან და მას კვლავაც ნიკს ეძახიან, რაც რეკორდსმენს ძალიან სწყინს...

***uralweb.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტემ ლამპარი იპოვა, გაუსვ-გამოუსვა თითები და ჯინიც გაჩნდა:

– მე ჯინი ვარ, მბრძანებელო, და სამ სურვილს შეგისრულებ!

– ბევრი ფული მინდა!

შეუსრულდა...

– ბევრი ქალიც მინდა!

ესეც შეუსრულდა...

– კიდევ სამი სურვილი მინდა!

– არა, მბრძანებელო, ამის გაკეთება არაფრით შემიძლია. ერთ ჯინს მხოლოდ სამი სურვილის ასრულება შეუძლია.

– კარგი, მაშინ – ბევრი ჯინი მინდა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"**

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40